

# ສິກທະນາຄ



1928

ສັນຕະພາບ

№ 13

# თითოეულა გავმაა

## უნდა გამოიწვეოს და იცითხოს

ორკვირეული უცრისი

# „კითხვები“

### შ ი ნ ა რ ს ი:

1. რა უნდა აქეთოს სოფლად მიმავალშა პიონერშია— ა. ახტაშევასი . . . . .	2	83.	6. ვინ არის ნობილე და რისთვის გაფრინდა პო- ლიტუსისაექნ . . . . .	18
2. პირველი ნადირობა—გ. სიოშვილის . . . . .	3		7. ჩვენი ცხოვრება და მუშაობა . . . . .	20
3. ეუება (განვრძობა)—გ. ზარის . . . . .	8		8. ჩვენი მეზობელი ერები: 1) სპარსეთი, 2) იყლა- ნისტრანი—ა. ჭორვაძის . . . . .	21
4. როცა ყვითლა აღმართის—გ. მაგდრის . . . . .	12		9. ისტავლეთ ცურვა . . . . .	22
5. ბავშვთა საერთაშორისო მოძრაობა: როგორ ცხოვ- რობენ და მუშაობენ პიონერები . . . . .	16		10. გავაუმჯობესოთ მესაქონლეობა . . . . .	23
			11. 1) გამოიცან? 2) თამაშობა. . . . .	კანკ.



329.153(05)

გვიათა კლასის სამისათვის იქაჩ მზადებელი  
უნივერსიტეტი

3-47.



# გ რ ი ბ ე რ ი

1928  
15 ივნისი

საძართვულოს შ. კ. ი. ცენცრალური მიწოდების (საძ. ა. ლ. კომისიის  
ცენცრალური) და გარაფლების სახალხო კომისარიაფის სოციალური აღმზის  
მთავარმართულობის მუნიციპალიტეტის მაზრაში მაზრაშის დაწერისათვის

წელიწადი III  
№ 13



პიონერები აწყობენ ბანაკისათვის კარავს

ଖା ପ୍ରଦୀପ କାମିନ୍ଦ୍ରା କେତ୍ତିଲୁହାର ମହାତ୍ମାଙ୍କା ପରିଚୟମା.

სკოლებში უკვე დამთავრდა მეცადინეობა, პი-  
ონერები და სხვა ბავშები განთავისუფლდენ ყოველ-  
დღიური სასკოლო მუშაობიდან. სასკოლო მეცადი-  
ნეობის შემდეგ რამდენიმე ათასი ბავში და პიონერი  
გაემართება სოფლებისაკენ, შეიძლება ითქვას, რომ  
მათი დიდი უმრავლესობა ახლაც უკვე წასულია სოფ-  
ლის სიტთა და ჯანსაღ ჰერჩე.

არ უნდა იქნეს დავიშუებული ის, რომ პიონერი  
მიღდის სოფლად არა მარტო დასასვენებლად, არამედ  
სამუშაოდაც.

რანაირი მუშაობა უნდა აწარმოოს პიონერ-  
მა სოფლად და რა არის საჭირო ამისათვის? პირველ  
ყოვლისა, კარგად ცოდნა იმისი, თუ რა უნდა გაა-  
კეთოს, ეს კი შეიძლება დაახლოვებითი გეგმის გა-  
მომუშავებით; ამ მუშაობაში საჭიროა მეტი გარკვე-  
ულობა, რომ ყველაფერს ხელი არ მოჰკიდო, არა-  
მედ გაითვალისწინო ერთი რომელიმე სამუშაო (მაგალ.  
გლეხის ბაშებში პიონერული თამაშის შეტანა).

რა შეუძლია პიონერს პრაქტიკულად გააკეთოს  
სოფთოად?

ყოველმა ჩვენთაგანმა იცის, რომ სოფლის ბავშებმა არ იციან თავისუფალი დროის წესიერად გამოყენება, პიონერს კი შეუძლია შეკრიბოს ისინი ყოველ თავისუფალ დროს ან თავისი სახლის მახლობლად, ან იმ ადგილის, საღაც ჩვეულებრივ იკრიბებიან სოფლის ბავშები და გაუმართოს მათ საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ პიონერები ქალაქში, ან წაუკითხოს მათ რაიმე პიონერული წიგნები, უურნალები, ასწავლის პიონერული თამაშობანი, გამართოს მათთან ერთად-წარმოდგენა და სხვა. ასეთი საშუალებით შეიძლება ხელი შეეწყოს ბავშების შეკავშირებას და კოლექტივის ჩამოყალიბებას. თუკი უკანასკნელი არ არის სოფლის, დახმარებისათვის უნდა მიემართოს კომკავშირის უჯრედს და შემდეგ მუშაობაში ქალაქის კოლექტივთანაც გაიბას კავშირი. თუ სოფლიად არის კოლექტივი, საჭიროა მასთან ურთიერთობის დაჭრა ისე, რომ ადგილი არ ექნეს რაიმე „მბრძანებლურ“ მოქცევას, რაგინდ უკანასკნელი ცუდადა მუშაობდეს. პიონერის ამოცანა ასეთ შემთხვევაში მდგომარეობს იმაში, რომ შეიტანოს თავისი გამოცდილება და კოდნა მუშაობაში.

პიონერს უნდა ახსოვდეს, რომ ისეთი სამუშაო,  
როგორიცაა ცოტხალი გაზეთი, რაღიან-წრე, პირვე-  
ლი დახმარების წრე, ავიომოდელის წრე—უცნობია  
სოფლის კოლექტივისათვის, მას კი შეუძლია შეიტა-  
ნოს ეს კორინა მათში.

სოფელში წასკლის წინ პიონერმა უნდა გამოი-  
წეროს უურნალი „პიონერი“ და სოფლად მოაწყოს  
ხმამაღლა კითხვა, როგორც უმცროს, ისე უფროს  
ბავშებს შორის; სოფლად უურნალ-გაზეთებს იშვია-  
თად კითხულობენ და ამიტომ პიონერი უნდა ეცა-  
დოს დააინტერესოს ისინი უკანასკნელით. კარგი  
წიგნი საჟუკეთესო საშუალებაა პროპაგანდისათვის,  
წიგნის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ვებრძოლოთ  
ათასგვარ ცრუმილორწმუნეობას და იმ ჭრებს, რო-  
მელისაც ავტორილებენ საბჭოთა ქვეყნის მტრები.

ყოველი პიონერის ამოცანაა ახსოვდეს საბჭოთა  
ქვეყნის თავდაცვის საქმე. პიონერმა უნდა აწარმოოს  
ეს მუშაობა სოფლის ბავშვებში, შეისრულოს ნ. პ. ც.  
ბ. „ნაკაზი“.

ყოველ პიონერს უნდა ახსოვდეს, რომ ჯანმრთელობა მეტად საჭიროა, რომ მზე, ჰაერი და წყალი მისი მეგობრებია.

პიონერმა უნდა მიაჩვიოს სოფლის ბავშები ჰი-  
გიენურ ცხოვრებას, საპნის ხმარებას, არ მოსწიოს  
პაპიროსი და გადააჩვიოს ისინიც, ვინც წევს.

პიონერმა უარი არ უნდა უთხრას არცერთ გლეხს  
რაიმე ოხვინაზე, უნდა დაუწეროს წერილი, ოხვინა  
და სხვა, დაეხმაროს მინდვრის სამუშაოზე დარიბ  
ოჯახს, შეკრიბოს ბავშები, რომ კოლექტიური და-  
ხმარება გაუწიონ დარიბებს, მოაწყოს ექსურსია მახ-  
ლობელ სოფელში, დაეხმაროს ოემსაბჭოს ხიდების,  
გზების შეკეთებაში. ყველა ის საკითხი და ამოცანა,  
რომელიც ჩამოთვლილია ზემოთ, რასაკვირველია, ამ  
ამოსწურავს იმ სამუშაოს, რომელიც პიონერმა უნ-  
და შეასრულოს სოფლად.

ამ მუშაობის დაწყებისთანავე პიონერმა უნდა  
დაიკიროს კავშირი ქალაქის კოლეგტივთან და ხში-  
რალ მიაწოდოს ცნობები თავისი მუშაობის შესახებ.

ამრიგად, შვებულებაში მიმავალი პიონერი არ უნდა გახდეს დეზერტირი სოფლად კულტურული დახმარების საერთო საქმეში.

ა. ასტაშევა.



ჩვენი ქოხი მთის ქვეშ ერთ პატარა მდინარეს-თან იღვა. ირგვლივ მაღალი, დალვრემილი ნაძვნარი იყო, ფერდობებიდან მოჩანდენ პირქუში კლდეები, კლდეების თავზე სქელი ბალახით დაფარული მწვანე ბორცვები და კიდევ უფრო მაღლა კი ცამდე აწვდე-ნილი, მუდამ თოვლიან მთათა მწვერვალები მზის შუქებზე თეთრად გამოკრთოდენ.

მამაჩემი განთქმული მონადირე იყო. კლდე-ებზე ხარობდენ ველური ყვავილები, რომელთაც თავს დაფარფატებდენ ისუერი და მწვანეფრთხებიანი მინდვრის პეპლები, კურდლები და ტყის თაგვები თბებოდენ მზეზე, ჭიკჭიკებდენ ჩიტები, შრიალებ-დენ ფიჭვის ტყეები და კლდოვან ხევხუვებში ჭი-შეუძლენ დაუდევარი მდინარეები.

კურდლები ზამთრობით სტოვებდენ მთას და ბარის ტყეებში იბინავებდენ; ხრიოკი მიდამოები დაი-ფარებოდა სქელი თოვლით, ძლიერი ქარი საშინე-ლი გრიალით დაეხეტებოდა მთებიდან მთებში, და ბე-ბერი ნაძვები ყრუდ ჭრიალებდენ, თითქო სიცივისა-გან გათოშილნი კვნესოდენ გულსაკლავად და შე-მოძრცნილ წვეროებს სუსხიან ჰაერში უმწეოდ აქა-ნავებდენ.

ჩამოლვრემილი და პირქუშია ზამთრობით კავ-კასიონის მთები, თოვლიან ქედებს მოწყენილობას და შიშის ჰერენს ნაპრალებიდან ზუზუნით ამოვარდნილი ქარი, მაგრამ წვენს ქოხში ამ დროს მუდამ სითბო და მყუდროება იყო; ბუხარში ენთო აგუზგუზებუ-ლი ცეცხლი, ახლად შეწყობილ შეშას აღნებოდა თოვ-ლი და ოლმოდებულ ჯირკებს ტკაცუნით სცვიოდათ წიგელი ნაპერწკლები. მამა გულდასმით სწერდდა თოფს, დედა კერიასთან მოკალათებული ქსოვდა ან ართავდა, მე კი იქვე ბუხრის კუთხეში ლოგინზე ჩა-მომჯდარი ვასმენდი მშობლების წყნარ საუბარს.

ყველაზე უფრო მიტაცებდა და მაღლელებდა მა-შისაგან მონათხობი ამბები შორეულ მთებში ნაღი-რობის შესახებ.

ბევრჯერ მივმართე მამას მეც თან წავეყვანე, როცა სანადიროდ წავიდოდა, მაგრამ მამა ყოველთვის ერთ-საღაიმავეს მეუბნებოდა: „არა, შვილო, შენ პატარა და უღონონ ხარ, ჯერ აღრეთ“. მე კი თავი პატარა არ მეგონა, უკვე თორმეტი წლის ვიყავი, მარდად დავხტოვი ვიწრო ბილიკებზე, დავფორთხავდი კლდე-ებზე და საჭიროების დროს თოფის გასროლაც შე-მეძლო.

მე ვიცნობდი ერთ მწყემსს, რომელიც ჩვენს ახლო მიდამოებში თხების ჯოგს ხშირად აძლევებდა. თითქმის ყოველდღე დავდიოდი მასთან, ერთად და-ვეხეტებოდით საბალახოებზე, ვაუღერებდით ლერწ-მისაგან გამოთლილ სალამურს და დროს შეხმატები-ლებულ საუბარში და ხტუნვა-სიგიურ ში ვატარებდით,

ერთხელ უნაგირა მთაში ერთ ჩამოშვავებულ კლდესთან შეემჩნია მას ქურციკების მთელი ჯოგი, რაც მეორე დღეს დაწვრილებით მიამბო. მეც დაკ-ვირვებით გამოვკითხე ყველაფერი. მწყემსმა ამიწრია უნაგირა მთის მდებარეობა და მასწავლა იმ კლდე-თან მისავალი ბილიკიც.

ამ ამბის მოსმენის შეზღევ მთელი დღე გიურით დავეხეტებოდი და თან უნაგირა მთაში ქურციკებზე სანადიროდ გაპარვის გეგმას ვამუშავებდა. ერთ მზიან დილით მამა ტყეში წავიდა სამუშაოდ. მე ვისარგებ-ლე ამ შემთხვევით და გადავწყვიტე მეორე დღესვე წავსულიყავ მთაში.

დედის შეუმჩნევლად მამის ოთახიდან გამოვი-ტანე მისი სანადირო თოფი და ჩემს ოთახში ტახტის ქვეშ დავმალე. წასალებად მოვიმარავე ცოტაოდენი ტყეია-წამალი და, მთაში ნაღირობის სურვილით ატაცებული, მთელი დღის განმავლობაში ციებიანივით ვთრთოდი, ჩქარა დაღამებას და გათენებას შევნატ-როდი.

ბოლოს კიდეც დაღამდა. მწვანე დაბლობებში ჩამოდგა შავი ჩრდილი და ჩემი ოთახის ფაჯრიდან დამის წყნარ მყუდროებაში მოისმოდა აჩუხხუხებული

მდინარის ხმაური. მთელი დამის განმავლობაში თვალიც არ მომიხუჭავს, სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორმე შესაფერი დრო შემერჩია და დედას გავპარვიდი.

ჩვენ სახლთან იდგა ბებერი, გაბარდნილშტოებიანი ვაშლის ხე, რომელსაც დაზნექილი ტოტები ჩემი ოთხის ფანჯარამდე გამოეწვდინა. მხარზე თოფვადაკიდებული ფართხილად გადავძვერ ფანჯარაში, შტოს ხელი მაგრად ჩავკიდე, ხეზე გადავცოცდი და იქიდან სრიალით ჩავეშვი მიწაზე. ირგვლივ მოვათვალიერე, ქოხში ისევ სიწყნარე იყო, ალბათ, დედას ეძინა, საწოლი ოთხის სარკმლიდან ოდნავ გამოკრთოდა დაწეული შუქი, რომელიც ეზოს მწვანე ზედაპირზე ყვითლად ლივლივებდა.

სწრაფად გადავძვერი ეზოს ღობეზე და უნაგირა მთაში მიმავალი ბილიკისკენ მოვკურცხლე.

დილის სამი საათი იქნებოდა. კა მოფენილი იყო ციმტიმა ვარსკვლავებით და ჭალაკებში ნელი სიო წყნარად შრიალებდა. ბილიკი, რომელსაც მე მივყვაბოდი, თანდათან უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, ფეხის შეხებით დაძრული ქვები ზავთით და გრიალით ეცემოდენ ჩაღმებულ ჯურლმულებში, მაგრამ მე მაინც უშიშრად მივაბიჯებდი კლდოვან ბილიკებზე და ქურციკის ყოველი წარმოდგენა კიდევ უფრო მამწევებდა, მაგულადებდა.

ფეხსაცმელი მთლად შემომეფლითა, კაშიან ქვებზე სიარულით ფეხის თითები დამისისხლიანდა, მძიმე თოფვა მხარი მომიქანცა, მაგრამ არაქათგამოლეული მაინც არ ვისევნებდი და განთიადისას უკვე მივუახლოდ უნაგირა მთას, ჩქარა მოვნახე ჩამოშვავებული კლდეც, სადაც მყენს ქურციკების ჯოვი დანახა. მოქანცული მწვანე ბალაზე ხეებში გავინართხე, ხაგზლად წამოლებული პური ჯიბიდან ამოვილე, ცოტა დავნაყრდი, შემდეგ ისევ ზეზე წამოვდექ და აღილმდებარება მოვათვალიერე. ჩქარა ნამიან ბალაზე მოვნახე ქურციკის ნაჩიქარი, გავყევი კვალდაკვალ და მივადექ წყაროს, რომელიც კლდის ქვეშ შალრევანით გამოჩეხუხებდა. „ალბათ წყლის დასალევად მოსულან, საღამოზედაც უთუოდ აქ გაჩნდებიან“ — გავიფიქრე, დაიმედებული კლდის მეორე მხარეზე აღბის ველურ ყვავილებში ჩავჯექ, თოფში ვაზნა ყოველი შემთხვევისთვის კიდევ გავსინჯე და ასე ჩასაფრებული ველოდებოდი ქურციკების გამოჩნას.

აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავი ასე, მგონი მთელი საუკუნე. წყაროს ჩუქჩები ისედაც ათროლებულ გულში ქრუანტელად მირბენდა, თვალი მომექანცა, ბალაზე წოლით გვერდები დამიბრუშდა, ქურციკები კი, თითქო ჩემ ჯინაზე, აღარ მოდიოდე.

ბოლოს, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით უცებ შეირხა მაღალი ჩირგვი, გაისმა ფოთლების შრიალი და წუთის შემდეგ ბილიკებები გამოჩნდა ქურციკების ჯოგი, რომელიც წყაროსკენ მოეშურებოდა.

პირველად თვაბრუ დამხევა, ვერ გამერკვია, სიზმარი იყო თუ ცხადი. ოოფზე დაბჯენილი ხელი ამიცახცახდა, თვალთ დამიბრულდა, რაღაც გაურკვეველმა ურუანტელმა და ბურანმა შეიბყრო მთელი ჩემი სხეული, მკერდიდან მკაფიოდ მესმოდა ჩემივ გულის ბაგაბუგი. დიახ, ესენი ქურციკები იყვნენ, დახატული ლამაზი ქურციკები, წრთელი ბალანი მზის სხივებზე ოქროსფრად რომ უბზინავდათ და მარდი ხტომით ბილიკებზე მოკუნტრუ შებდენ. ათროლებული ხელით ავმართე ჩამახი, დავუმიზნე, რომელიც უფრო ახლო იყო და... თოფის მოულოდნელმა გრიალება შესძრა იქაურობა, ახმაურებულმა მთებმა გასძახეს მთებს, და პირქუში კლდეები წუთით სითქმ შეირხენ, ახრიალდე.


თოფი იქვე ბალახებში მივაგდე, ქურციკებისაკენ სწრაფი ნაბიჯებით გავეშურე და — ის, სიხარულო! ბალახებში თვალი მოვჰკარ განართხულ ქურციკს, რომელიც, ეტყობოდა, მძიმედ დამეჭრა. დანარჩენი ქურციკები კი გაბედული ნახტომებით თავაღებულნი გარბოდენ ციცაბო კლდეებზე.

მე ის იყო მივუახლოვდი დაჭრილ ქურციკს, რომ ის მოულოდნელად ზეზე წამოვარდა, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ამხანაგებისაკენ სიჩიბილით გაეშურა. ის თავს ევლებოდა მაღალ ბუჩქებს და უზარმაზარ ქვებს, თითქო მიწას ჩლიქებით არც ეხებოდა და წარმოუდგენელი სისწრაფით კლდოვან ოლროჩილროებზე მიფრინავდა.

მე პირველად დავიბენ, გავშეშდი, არ ვიცოდი, როგორ მოვკეულიყავ, მაგრამ ცოტა ჩაფრქების შემდეგ მეც შეშლილივით უკან ავედევნე.

კარგად არ მახსოვს, რამდენ ხანს მივდევდი ქურციკს, როგორ გადავეშვი წვეტიან ქვებზე. ბოლოს, ჩემდა სასიხარულოდ, შევამჩნიე, რომ ქურციკმა სიბილის უკლო, თანდათან მისუსტდა, მოთენთილი სხეულით ძლიერ მიბარბაცებდა და მეც ის იყო წამოვეწიე, რომ უეცრად თვალისა და ხელ შუა გაქრა, მიიმალა.

შევჩერდი. თავს წავდგომივარ ციცაბო კლდეს, საიდანად ერთი მოუფიქრებელი ნაბიჯი თვალუწვდენ უფსკრულში გარდამჩხას. გარინდული ჩავუყრებდი უძრავი ნაპრალი, ვეძებდი ქურციკს, მაგრამ იმაოდ ნაპრალის მეორე კიდე იმდენად შორს იყო, რომ დაჭრილი ნადირი იქ გახტომას ვერ შესძლებდა. მაში სად გაქრა ასე უკვალოდ? უფსკრულმა შთანთქა? — ვფიქრობდი ჩემთვის და განცვიფრებული ირგვლივ



გერმანელი პიონერების მიერ ბანაკად ყოფნის დროს მოწყობილი კოცონი

ვაცქერდებოდი. დავაყურე — არავითარი ხასური. ჩავხედე დაბლა... იქ, უფსკრულის ძირში, მზით გახურებული შავი ქვები თონესავით ენთო და ნაპრალის კედლებზე ქანაობდენ ქარისაგან ღლნავ შერხეული მწვანე ბუჩქები.

ქურციკი უთუოდ აქ გარდაჩეხა — გავიფუქრე, ირგვლივ ნაპრალის კიდეებს თვალი უკანასკნელად კიდევ მოვავლე, ავწონ-დავწონე, მაგრამ ამაღლ: ხევში ჩასვლა ძლიერ სახიფათო იყო. ბოლოს ხელი ჩავკიდე იქვე კლდეზე ამოსულ მაღალ ბუჩქს და თვალუწვდენ ხრამში ჩავეყიდე.

კიდეებზე ამოსულ ბუჩქებს და წვეტიან ქვებს ხელს ვაშველებდი და დიდის ვაიგაგლახით ჩავფორთხდი ხევში. ხელ-ფეხი მთლად დამისისხლიანდა, ტანისამისი შემომეხა, ქუდი და ფეხსაცმელები საჯღაც დამკარგვოდა, მაგრამ სამაგიეროდ მიზანს მივახწიე: დავინახე ქურციკი, რომელიც ბუჩქის ძირას მწვანე მოლზე უსულოდ განართხულიყო.

ეს იყო მეტად ლამაზი, მაღალი ტანის ცხოველი. სიგრძით სამი და სიმაღლით ორი ფუტი იქნებოდა. უკან გადახვეული თერთმეტლუმიანი რქები ქურციკის მშვენიერ სხეულს კიდევ უფრო აშვენებდა ნახევრად მიხუჭული უპეებიდან გამოკრთოდა ნახშირივით შავი თვალები.

როცა მსხვერპლის ცქერით გული ვიჯერე ჯიბიდან დანა ამოვიღე და ქურციკს ყელი გამოვჭერ, საიდანაც ჯერ კიდევ თბილი სისხლი ნაკადულივით გადმოჩანჩქერდა.

აგასობაში მზეც ჩავიდა და ნაპრალი სიბნელით ამოიგსო. დიდი ჯაფით ქურციკი ზურგზე წამოვიკიდე და ნელი ნაბიჯით გაესწიე ნაპრალში მოჩუქურხე ლელის მიმართულებით, რაღვან ვფიქრობდი ღელე სამშვიდობოს გამიყვანდა.

დიღხანს მძიმედ დატვირთული მივბარბაცებდი წვეტიან ქვებზე, ლელის ხრიოვ ნაპირებზე და ბოლოს მოვიქანუ, დაძაბრული მუხლები მთლად მიცახცახებდა, გასავალი კი არსად აყო. ნაპრალს ორივე მხრიდან ზღუდავდა ციცაბო კლდეები, უკან ხევში კუპრივით სიბნელე იდგა, წინიდან კი რაღაც შემზარუვი ხასური მოისმოდა; რამდენიც წინ მივიწევდი, ეს ხმაური უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ბოლოს საშინელ ღრიალად გადაიქცა.

შიმშილით და შიშით ღონემიხდილი ავთორთხ-დი ერთ უზარმაზარ ქვაზე, რომელიც იქვე ღელეში ეგდო, ქურციკი ქვაზე გავაწვინე, მერე სასოწარკვეთილი მეც ზედ დავეცი და მწრედ დავიქვითინე.

იძულებული ვიყავი ღამე აქ გამეთია. მომავონდა სახლი; თვალწინ წარმომიდგა შეშინებული მშობლები, რომელიც, ვინ იცის, ახლა სად დამეძებენ — და ისე ხმამაღლა ავლრიალდი, რომ მეგონა გულიც წუხილისაგან შეუაზე გაპობას ლამიბდა. როცა ქვითინით გული მოვიოხე და ცაზე ვარსკვლავები ამოციმციმდენ, მოქანულს ძილი მომერია, ქურციკზე თავი მივდე და ჩქარა ტკბილად მიმეძინა. ძილმა შთანთქა ყოველგვარი ფიქრი, შიში და განცდილი უბედურება.

როცა გავიღვიძე, მზე უკვე ამოსულიყო და ქურუხ კლდეებს აქროვანი სხივები ებნეოდა; ცივ ღამე-ში ქვაზე წოლისაგან დამბრუშებოდა მთელი სხეული, მტკიოდა თავი, გაბრუებული ვიცქირებოდი ირგვლივ, ჯერ კარგად ვერ გამომერკვია, სად ვიყავ ან როგორ მოვხვდი ამ ადგილზე, რომ უეცრად ელდანაკრავით ზეზე წამოვარდი.

ორი ნაბიჯის დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც მთელი ღამე ტკბილად ვხერინავდი, ღელის წყალი საშინელი ხმაურით და ორიალით ჩარბოდა თვალ-უწვდენ უფსკრულში.

ამ ჩანჩქერის ხმაურმა წუხელი შემაშინა, მაგრამ სწორედ ამ შიშმა ღამისნა დაღუპვისაგან, თორემ კიდევ ორი ნაბიჯი რომ გადამედგა, უეჭველად უფსკრულში შთავინთქმებოდი. ფრთხილად მივუახლოვდი კლის ნაპირს, საიდანაც ჩანჩქერი უფსკრულში გადარბოდა, ჩავიხედე და რას ვხედავ: უფსკრულის ძირში, შორს, ძლიერ შორს მოჩანდა ამწვანებული ფართო მინდორი, რომელზედაც ვაშენებული იყო სოფლები და აყვავებული ბაღები. ქოხების საკომურებიდან ამოდიოდა ბოლი. თხებისა და ძროხების ჯოგებს მთაში საბალახოდ მიერეკებოდენ მწყემსები და ხალხი, აქედან შავ წერტილებად რომ მოჩანდა, მხარზე თოხებით მიეშურებოდა ყანებში სამუშაოდ.

ეს იყო ერთადერთი გზა, მაგრამ უფსკრულში ჩასვლა წარმოუდგენლად ძნელი იყო. სასოწარკვეთილმა ხმამაღლა ჩავდახე დაბლა, ვეძახოდი მწყემსები, ყანებში მომუშავე ხალხს, მაგრამ ამაოდ: ჩემი ხმა ჩანჩქერის შემზარავ ხმაურში მე თვით არ მესმოდა.

გარინდებული და უიმედო კარგახანს ჩავუურებდი უფსკრულს, შემდეგ ქურციე ზურგზე წამოვიყიდე და სხვა მიმართულებით ლასლასით გაესწიე მაღლა. ჩეარა მე მივაღწიე იმ ადგილს, საიდანაც გუშინ ჩამოვეშვი, მაგრამ იქიდან ასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, მე მაინც მივდიოდი წინ და რამდენიც წინ მივიწევდი, ნაპრალი უფრო და უფრო ვიწროვდებო და. უცებ ჩანჩქერის ხმაური ისევ გაისმა მახლობლად და ნესტიან ჰაერში სახეზე წყლის გრილი ცვარები შემომეშეფა.

მაღლა აფხედე, პირშეკრული ნაპრალი სწორედ აქ იკეტებოდა და მაღლიდან საშინელი ღრიალით გაღმოქუბდა ძლიერი ჩანჩქერი. წინ წასვლა შეუძლებელი იყო, ერთი სიტყვით, ამ წყეულ ხევში ცოცხლად ჩავიმარხე.

მაშინ ისევ შემიპყრო სასოწარკვეთილებამ, ვყვიროდი, ვლრიალებლი და ბოლოს სრულიად მოვიქანცე, ხმა დამეკარგა, თავი დამიმძიმდა, ღონევამოლეული ქვაზე მივწექ და ჩეარა ისევ მიმეძინა. როცა გა-



პიონერები ბანაკად ყოფნის დროს უსმენენ ხელმძღვანელს წიგნის კითხვის დროს

ვიღვიძე, უკვე საღამოს ბინდით მოცულიყო ნაპრალი და საშინელი შიმშილი მაწუხებდა. რამდენიმეჯერ გავიფიქრე ქურციკი გამეფატრა და უმი ხორცით მაინც დავნაყრებულიყავ, მაგრამ ქურციკის ძეირთასი ტყავი დამენანა. გადაწყვიტე დილამდე კიდევ მოტყავი დამეთმინა.

მთელი ღამე ვიჯექი ქვაზე და თავში ათასი ფიქრი მიტრიალებდა. ხან წარმოვიდგენდი, რომ ნაპრალში შიმშილისაგან უპატრონოდ ვკვდები, ხან მომელანდებოდა, რომ რაღაც ნადირი ზურგიდან გასაგლეჯად ფეხაკრეფით მეპარებოდა და ხან თითქო ვხედავდი, რომ ნაპრალის კედლები ერთშენეთს ნელ-ნელა მიუახლოვდენ და მე შუაში გაჩირული ვიჭყლიტები.

ბოლოს კიდეც ირიურავა, მაგრამ გათეჩების მოახლოება ჩემ გულს ვეღარ ახარებდა. არ ვეკითინებდი, აღარც ვყვიროდი, ჩუმად, გაყუჩებული, თავბრუდახვეული ვიწექი ქვაზე და ლონეც არ შემწევდა და ბრუშებული ხელ-ფეხი ამემოძრავებინა.

არ მეძინა, მაგრამ ჩემ თვალშინ ერთმანეთს სკვლიდენ საკირველი, სასწაულებრივი სანახაობანი. მეჩვენებოდა უკნაური და უცხო გამომეტყველების ადამიანები, ცხოველები და მეც ყოველ მათ უმნიშვნელო მოძრაობას ვანცვიფრებული გაკვირდებოდი. ვერ გამეგო, ეს მხოლოდ მოჩვენება იყო, თუ ყოველივეს მართლა ცხადად ვხედავდი.

აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავი ასე, რომ მოულოდნელად მაღლიდან ჩამომესმა რაღაც ხმაური, რამაც ამ ბურანიდან გამომიყვანა. მე უცებ შევკრთი, ზეზე წამოვევარდი. წუთის შემდეგ ხმა ისევ განმეორდა და მთელი შიში უეცრად გაქრა. არა, ეს არ იყო სიჩმარი, მე მკაფიოდ მომესმა წყნარი, გარკვეული ძახილი ჩემი სახელისა და ეს ხმა იყო ჩემი მამის, რომელიც მაღლიდან უფსკრულში ჩამომძახოდა.

უცებ ღამავიწყდა შიმშილი და მოქანცულობა და, რაც ლონე შემწევდა, ხმამაღლა ავძახე: „მამა, მე აქა ვარ, აქა, ნუ გეშინია“.

ავხედე ზევით და დავინახე მამის შეშფოთებული სახე, მერე ჩემ ფეხებთან დაეცა ბაწრის ერთი თავი და მაღლიდან ისევ ჩამომესმა:

— არ შეშინდე, წელში მაგრად ჩაიბი და მაღლა ამოგიყვანთ.

საჩაროდ ხელი ვტაცე ბაწრის და გავემზადე, რომ ამ დროს გამახსენდა მოკლული ქურციკი. „არა, ჯერ ქურციკი უნდა ავატანინო“, — გავიფიქრე მე, ბაწარი ქურციკს წელში ჩაგაბი და მერე ხმამაღლა ავძახე: — ასწიეთ, მზად არის.

ზევით ალაპარაკდენ. შემდეგ ბაწარი ნელ-ნელა დაიჭიმა და ქურციკი ბარბაცით წავიდა მაღლა.

ბაწარი ისევ ჩამოვეშვა და ნაპრალიდან მეც მშვიდობიანად ამომიყვანეს. მაგრამ შიმშილითა და ამდენი ჯაფით დასუსტებულმა რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი თუ არა, გრძნობადაკარგული უცებ დავბარბაცდი, თავი ვეღარ დავიჭირე და მიწაზე გავინართხე.

როცა გამოვერკვეი, ქოხში ლოგინზე ვიწექ და თავს დამტრიალებდა გახარებული დედა. ორი დღის განმავლობაში თურმე მთაში დამეტებდა მამა მეზობლებთან ერთად. დიღი ხნის ძებნის შემდეგ მათ ენახათ ჩემი თოვი, ქუდი და ტანისამოსის ნაფლეთები, რასაც ისინი დაერწმუნებია, რომ მე ნაპრალში გარდავიჩეხე.

პირველმა ნადირობამ გადასწყვიტა ჩემი ბედი. მე მონადირე გავხდი; მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, მრავალი ნადირის მკერდი შეუპია ჩემ ნასროლ ტყვიას, მაგრამ არასოდეს ის სიხარული და აღტაცება აღარ მიგრძნია, რაც პირველად ქურციკის მოკლამ განმაცდევინა და რის გამოც ამდენი ვაივაგლახი გადავიტანე.

გ. სიოშვილი.

## გ ა ვ უ მ ე ბ ი

## გ ა ვ რ ც ე ლ ე თ თ ქ ვ ა ნ ი უ შ რ ნ ა ლ ი

## „ვ ი ღ ნ ე რ ი“



## IV\*).

პირველ ხანებში დედას არაფრის იმედი არ ჰქონდა და გაიძახოდა:

— სისულელე! ვნახოთ, რით დაბოლოვდება ყველაფერი ეს. ვგრძნობ, რომ კარგი არაფერი იქნება.

მაგრამ როდესაც დაიწყო სამოქალაქო ომი ჩელებთან, დედა ისევ ჩადგა სამუშაოდ ქარხანაში.

მაისში, როდესაც უკვე ათბა, მე წამიყვანეს ბავშთა სახლში შეგასკის მთაზე. აქ ცხოვრობდენ მარტოდ მუშათა ბავშები. აქ ბევრ რამეს გვასწავლიდენ. ხშირად მოვიყრიდით თავს მზეზე, თეთრ მარმარილოს კიბეზე და ვისმენდით საუბრებს კარლ მარქსისა და ლენინის შესახებ.

— სუ...უ...უ! განა შეიძლება იმათ შესახებ ლაპარაკი?! — ჩაიჩურჩულა ძალუა კარპინეკმა და შეშინებულად გაიხედა კარებისაკენ.

— განაგრძე, — სთხოვა ანუშეამ უუჯას.

ლამაზი თეთრი სახლი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით, წინეთ ეკუთხნოდა კამფეტების ფაბრიკის მეპატრონეს. ამ ფაბრიკანტს ჰყავდა ასი ძალლი, რომელთავის ცალკე სახლი ჰქონდა გაშენებული. რევოლუციის დროს იგი გაიქცა პრაღაში. იქ მას ასი ძალლის. ნაცვლად გაუჩნდა ასი ჯარისკაცი, რომელთა დახმარებით სურს მას გალაშერება უნგრეთის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ასე გადმოგვცა ამის შესახებ ამხანაგმა არადი.

მამა ხან რუმინელების და ხან ჩეხელების ფრონტებზე იმყოფებოდა. იგი დადიოდა სამუელის ჯავშნიანი მატარებლით. ამიტომ უწოდებდა მას პროკურატურა „სამუელისტს“.

„გერი იოსებ — სამუელისტი“ — ასე იყო აღნიშნული მამაჩემის ვინაობა.

მამა ორჯერ იყო ბუდაპეშტში. ხშირად მოდიოდა ჩვენთან საბავშო სახლში სტუმრად. იგი ისეთი-ვე ლამაზი, მხნე და გულადი იყო, როგორც წინეთ. ერთხელ მან შოკოლადი ჩამომიტანა ვენიდან. უჟ, რა გემრიელი იყო!..

როგორც გითხარით, მამა ხშირად მოდიოდა ჩვენთან, მაგრამ არა დიდი ხნით: მას ყოველთვის ექვანებოდა...

— ბევრი საქმე მაქვს... რევოლუცია განსაცდელ შია, — ლაპარაკობდა იგი.

ერთხელ ბავშებს მოაკითხეს თავ-თავის შშობლებმა და წიყვანეს შინ, საბავშო სახლში კი მხოლოდ თხუთმეტი ბავში დავრჩით. არც ამხანაგი არადი მოვიდა იმ დღეს. მარტო ძალუა ბუტკონი დარჩა ჩვენთან. ბავშებმა მოვრთეთ ბლავილი და ძალუა ბუტკონს დიდი ენერგია და შრომა დასჭირდა ჩვენს დასამშვიდებლად.

— მართალია, ცუდად არის საქმე, მაგრამ ყველაფერი ჩვენს საბედნიეროდ გადაწყდება... ბუდაპეშტში ეხლა კონტრ-რევოლუცია მძვინვარებს, მაგრამ მალე მოელება მას ბოლო...

იმ დღეს დუნაიზე ისროდენ ყუმბარებს სამხედრო გემები — კანონირკები. სროლის ხმა ისე გვემოდა ჩვენი საბავშო სახლის ბალში, თითქოს ყუმბარები ჩვენს ყურთან სკდებამ.

სალამოს მოვიდა მამა. იგი მეტისმეტად დალლილაქან ცული იყო.

— მწარე დღე გაგვითხნდა! არ გეშინოდა, უუჟა? მკითხა მან.

— არა, მამილო! — ვუპასუხე.

მაგრამ, სიმართლე გითხრით, ძლიერ მეშინოდა და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისროდენ.

— მამის შვილია! — სოჭვა ძალუა ბუტკონიშ. — მას სრულიადაც არ ეშინია.

ორი დღის შემდეგ ბევრი ბავში დაბრუნდა უკან საბავშო სახლში. ისევ გავმხიარულდით და ისევ უდარდელობას მივეკით თავი. ერთხელ მოვიდა ამხანაგი არადი შევეული ხელით. მან გვიამბო, თუ როგორ დასჭრეს იგი კონტრრევოლუციონერებმა.

დედა ყოველ კვირას მოდიოდა ჩვენთან და მედა დედა ერთად ვსეირნობდით ბალში. როდესაც იგი უკან ბრუნდებოდა, მაგრად ართმევდა ხელს ძალუა ბუტკონის და ეუბნებოდა:

— დიდი მადლობა ჩემი გოგონასადმი ყურადება-შზრუნველობისათვის!

## V

ერთ პარასკევს გვიან ღამით მომაყიოხა დედამ. ბევრი ბავში უკვე აღრე იყო წაყვანილი. ძალუა ბუტ-კონი ნერვიულობდა.

ჩემი სატინის ტანისამოსი გასარეცხად იყო. მი-სუმული, მაგრამ მისი ძებნის დრო აღარ იყო. დედა ძლიერ იჩქაროდა. თვალები დასიებული ჰქონდა ტი-რილისაგან.

ჩვენ დავეშვით მთიდან ძირს და დიდანს მივ-დიოდით. მე ისე დავიდალე, რომ კინალამ დავიწყე ტირილი. როდესაც ჩვენ გავედით ხილზე და ცოტა გავცილდით მას, დედამ დაიკირავა ეტლი, რომლი-თაც ჩვენ მივედით ერთ-ერთ განაპირა უბნამდე. იმას იქით მეეტლებ აღარ მოისურვა ჩვენი წაყვანა. ჩვენ ჩამოვხტით და ისევ ქვეითად განვაგრძეთ გზა. დიდ-ხანს ვიარეთ...

დაბოლოს, მივედით იქ, სადაც მიწას თხრიდენ, სადაც მუშაობდა წინეთ მამაჩემი... ის ადგილი გაშინვე ვიცანი. იქვე ახლოს ცხოვრობდა ძალია. და აი, ჩვენც იმასთან მივედით საცხოვრებლად.

იქ გავიგე მე, რომ კომუნისტები გაუნადგურე-ბიათ... იმ ღამითვე გადამწყდარიყო ყველაფერი...

ჩვენ სამი დღის განმავლობაში ველოდებოდით მამას. მაგრამ ის არსად ჩანდა. მეოთხე დღეს დედამ

გადასწყვიტა ქალაქში წასვლა, მაგრამ ქარხანაში ქა-ქვათ მისთვის, რომ არ გამოჩენილიყო იგი ქალაქში: უფრო უარესია თქვენთვის...

მოხუცი ტოლია ხშირად იტყოდა ხოლმე:

— მე რომ ახალგაზრდა ვყოფილიყავი, მეც წი-თელი ვიქნებოდი.

ერთხელ ამაზე დედამ უთხრა მას:

— თქვენ, მამაკაცები, სულელები ხართ, ბრძო-ლის მეტი არა იცით რა!


— არაფერია, ერეი, არაფერი. მხოლოდ კი გა-დარჩეს ისახბი და ყველაფერი მოგვარდება, — ამხნე-ვებდა დედას ძალია.

ძალია ტოლია ღრმად მოხუცებული იყო. მას უ-ვარდა ჩიბუხი და თევზაობა.

ერთხელ მას დაეჭირა ბარტყი და მომიყვანა.

ძლიერ კარგი ფრინველი იყო. ერთ ფეხზე ძა-ფი ჰქონდა მობმული. იგი ძლიერ შემეჩერია და ყო-ველთვის მხრებზე მაჯდა. მე იგი მოვნათლე და ბეშ-კა დავარქვი. სიკვდილამდე მიყვარდა საბრალო ჩი-ტუნია.

და აი, ერთხელ ძალაშია მისდა უნებურად, სრულიად შემთხვევით დააბიჯა ფეხი ჩემს ბეშეს და ისე დაუმტვრია ძლები, როგორც ასანთის კოლოფი დაიმტვრევა ფეხ ქვეშ.



ძია გაშპარას ძლიერ ეწყინა ბეჭედს ასეთი ტრალიკული სიკედილი. მე, რასაკვირველია, უფრო მეტად მეწყინებოდა, მაგრამ ძია გაშპარას მაინც არ დავტაკებივარ. მე მხოლოდ ვიტირე ცოტა ხანს, მაგრამ დედის თანდასწრებით არა. დედასთან მე ყოველთვის ვერიდებოდი ტირილს და არასოდეს არ მიტირნია. ამიტომ დედა ყოველთვის მაქებდა ხოლმე:

— შენ ჰქვიანი გოგონა ხარ, ჩემო უუჯა! შენ არასოდეს არ აწყენინებ და არ აწუხებ დედას უბრალო რამესთვის.

ჩვენ მთელი თვე ამაოდ მოველოდით მამას. დედა არაფერს არ აკეთებდა. ცოცხალ-მკვდარივით იყო და თვალი და ყური კარებისაკენ ჰქონდა გამახვილებული. არც ძია ტოლია დადიოდა სათევზაოდ. ერთხელ მის ბაღეში თურმე მიცვალებული მოჰყვა თევზის მაგიერ.

— ეხლა დუნაიში მრავლად დაცურავს აღამიანთა გვამები, — უთხრა მან დედას.

ბუდაპეშტში კონტ-რევოლუციონერები და ბურუუები განუკითხავად ხერეტდენ რევოლუციონერებს.

ერთხელ დედასთან მოვიდენ ქარხნიდან და უთხრეს, რომ მამა პროკურატურაშია, იქ უნახავთ მისი გვარი, იგი — სამუელისტია.

მეორე დღეს ჩვენ გავსწიეთ პროკურატურისაკენ და მთელი დღე ვიყავით ატუხული მისი კარების წინ, მაგრამ ვერაფერი ვერ გავიგეთ. საღამოს დაბრუნდით შინ და მეორე დღეს მხოლოდ დედა წავიდა, მე კი გულის ფანკუალით მოველოდი მის დაბრუნებას: მეშინოდა მოტანილი ამბის გაგების. საღამოთი დედა დაბრუნდა და სთქვა:

— ის იქ არის. ხვალ გადაიყვანებენ ვაცში; მას არ გაასამართლებენ.

ამ დღიდან ხშირად დავდიოდით ვაცში.

ერთხელ ჩვენ, როგორც იქნა, ველირსეთ მამის ნახვას. იგი ძლიერ გამხდარი იყო. დედა ევედრებოდა, რომ არ გაჯიუტებულიყო და არ ეჩუბნა უნდარმებთან.

— ამით მხოლოდ გააფუჭებ შენს საქმეს და ჩვენც დავიღუპებით.

მამამ დიღხანს უსმინა დედას მუდარას და შემდეგ უთხრა:

— ეს ზედმეტია, ჩემო ერუი! თუ მე ციხეში მიწერია სიკედილი, დეე, მოვკვდე ღირსეულად, პროლეტარულად. შენ ნულარ იდარდებ ჩემზე, ჩემო ერუი!

დედამ ამიყვანა ხელზე და ამწია მაღლა რკინის-ბადიან სარქმელთან, რომლიდანაც გამოყოფილი ჰქონდა მამას თავი. მამამ ჩამკონა, მაგრამ დედას კოცნა ვერ მოაწრო, რადგან იგიც გარეკეს სხვებთან ერთად ოთხის შუაგულისაკენ.

ამის შემდეგ ჩვენ მთელი თვის განმავლობაში არ ვყოფილვართ ვაცში. სამაგიეროდ გაფატიცებით ვადევნებდით თვალს გაზეთებს. გვინდოდა გაგვეგო, თუ როდის იქნებოდა მამას გასამართლება. მაგრამ ამაოდ.

როდესაც დაზამთრდა და თოვლით დაიტარა დედამიწა, ჩვენ ისევ გავწიეთ ვაცში. დედა დადიოდა კანცელარიებში, მაგიდიდან მაგიდასთან და ეკითხებოდა ყველას, თუ სად იმყოფება სამუელისტი იოსებ გერი.

— დრო არა გვაქვს შენთვის ცნობის მოსაცემად, — უპასუხა მას ქერაულვაშებიანმა უანდარმა.

დედამ დაუწყო მას ხვეწნა:

— ჩვენ ხომ შორიდან ვართ მოსული და ისიც ბავშიანად...

— გაეთერით აქედან!.. — დაიღრიალა უანდარმა.

როცა გარეთ გამოვედით, ერთ ქალს შევხვდით და იმან გვითხრა:

— გუშინწინ ჩამოახრჩეს!..

როდესაც გონს მოვიდა, დედამ ამოილულლულა:

— საქმის გარჩევა?

— გარჩევა?... რა გარჩევა, რისი გარჩევა... — ამოიოხრა ჩვენს უკნიდან მოხუცმა და იქვე კიბეზე ჩამოჯდა.

მოხუცი ცხარე ცრემლებით სტიროდა.

იმისი შვილი გუშინწინ ჩამოუხრჩევით...

— ვინ იყო იგი?

— სამუელისტი!..

ამ დროს კარებიდან გამოვიდა ერთი უანდარმი და გამოკიდა გარეთ რაღაც სია.

ყველა ამ სიის ირგვლივ შეჯგუფდა.

უანდარმი განშორდა ჯგუფს. შემდეგ შემომხედა და მკითხა:

— შენ ვინ გინდა?

— ჩვენ მოვედით სამუელისტი იოსებ გერის სანახვად...

უანდარმა გაიხედა მის მიერ გამოკიდებული სიისაკენ და გაიცინა:

— როდესაც ხელმეორედ იქნება კომუნა ბუდჰეშტში, მაშინ ნახავ! მიპასუხა და წავიდა.

დედამ იკითხა, თუ რა ქალალდი გამოკიდეს.

— ეს ჩამოახრჩიბილთა სია.

ამის გაგონება და დედამიწის უგრძნობლად დაცემა ერთი იყო.

— დაობლდი, ჩემო უუჯა, დაობლდი!.. — ტირიდა დედა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჟყიროდა: — იგიც ჩამოუხრჩევით, ჩემი იოსები!

როდესაც ძია ტოლიამ გაიგო ეს ამბავი, ჯერ პირჯვარი გადისახა და შემდეგ შეუკურთხა მდიდრებს



პიონერები უკვე მოეწყვენ ბანაკად

და მებატონეებს. იმ ღამეს იგი ისევ სათევზაოდ წყვიდა.

დედა ავად გახდა.

ბევრს გვეხმარებოდა ჩვენ ძია ტოლია. ხანდახან დედახემიც მიდიოდა ბუდაპეშტში თევზის გასასყიდლად.

ერთხელ ძია ტოლიამ გადმოვცა, რომ იხსნება ცემენტის ახალი ქარხანა და იქ სჭირდებათ მუშები. დედა წავიდა იმ ქარხნის კანტორაში და იქ შემოხვევით შეხვედროდა ამხანაგ გაშპარის. მას ეთქვა დედა-სათვის, რომ იმათ, ვინც რეგისტრაციაში არიან გატარებულნი, უკანასკნელ რიგში იღებენ (მე დამავიწყდა მეთქვა, რომ მე და დედახემი ყოველკვირა უნდა გამოვცხადებულიყვანით უანდარმერიაში რეგისტრაციაში გასატარებლად).

ძია გაშპარა სხვისი სახელით შესულა ქარხანაში. ძია გაშპარა და დედა დიდხანს მსჯელობდენ იმაზე, თუ როგორ მოეხერხებიათ დედახემის მიღება ქარხანაში სამუშაოდ. ისინი ბევრს ლაპარაკობდენ მამას შესახებაც. ამხანაგი გაშპარა ყოველთვის ქება-დიდებით იხსენიებდა მას და ლაპარაკობდა, რომ თითქმის გაზეთებშიაც კი აღნიშნულია, თუ როგორ მამაცურად, გმირულად იქცეოდა მამა. როცა აჰყავდათ სახრჩოებაზე, იგი ყვიროდა:

— გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

ჯალათს ისე შეეშინდა მისი, რომ თოკი უერმოაბა კისერზე...

მე ძლიერ გამიხარდა ამხანაგ გაშპარას ნახვა. მან გამხნევა და გამოაცოცხლა დედახემი. მასთან საუბრების შემდეგ დედა თითქოს გამოკეთდა.

იგი ლაპარაკობდა:

— თუმცა ღამარცხდა კომუნა, მაგრამ ეს დროებითაა, რაღვენ ბურუუები და მათი ღამებაშები ღიდანს ვერ იბოგინებენ. არსებობს საბჭოთა რუსეთი! გერმანიაშიც მალე იქნება მეორე რევოლუცია.

მე გეოგრაფიიდან ვიცოდი, რომ გერმანია თავისი სიღილით მეორე სახელმწიფო იყო ევროპაში, და ძლიერ მახარებდა ის ამბავი, რომ გერმანიაში კიდევ მოხდებოდა რევოლუცია

არ ვიცი როგორ, რა გზით, მაგრამ გაზაფხულზე დედახემიც წავიდა სამუშაოდ ცემენტის ქარხანაში. იგი ძლიერ ახლოს იყო დუნაისთან და ჩვენი საცხოვრებელი აღგილიდან. ქარხნის ზევით კა მუდამ გაშავებულია კვამლისაგან. მე დიღხანს გავცემოდი ქარხნის საკვამლე მიღებს, იმათგან ამომავალ რუხი ფერის ბოლს და ვფიქრობდი: ი, იქ მუშაობს დედახემი, რომელსაც საღამოობით უკვე დაწყებინა სისხლით ხველება.

ძია ტოლია ცხოვრობდა სოფლის განაპირას, პირდაპირ ციცაბო ნაპირზე. ვიწრო კიბეებით ეშვებოდა გზა მდინარეში, სადაც იდგა ძია ტოლიას ნავი. სახლის შინ იდგა უზარმაზარი ფარდული, რომელშიც ინახებოდა სხვადასხვა იარალი მიწის სათხრელად.

ძია ტოლიას სახლიდან ისე მოხანდა ბუდაპეშტი, თითქოს ხელისუფლზეა. ბუდა — მდინარის მარჯვენა ნაპირზე და პეშტი -- მარცხენაზე. მე მიყვარდა. ცერია ბუდაპეშტისაკენ მიმავალი გემებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი უხსლოვდებოდენ ქალაქს და როდესაც სირენა პირველად ჩვენი სახლის პირდაპირ აყვირდებოდა. ძლიერ კარგი იყო იქ ზაფხულობით“.



პიონერები ხელსაჭმეს სწავლობენ

გათენებამდე მორჩენ ყველაფერს. გააკრეს ყველა აფიშა და შინ უვნებლად დაბრუნდენ. როცა გათენება და მზე ამოვიდა, ქუჩებში ატყდა ჩოჩქოლი, გახელებული დარბოდენ ჟანდარმები და გაკრულ აფიშებს ახვდენ.

როცა ქალაქის განაპიროს სამსონი უკანასკნელ  
აფიშას აკრავდა, თურმე მას ამ ღროს იქვე უთვალ-  
თვალებდა ცალთვალა და ნაცრისფერყელსახვე-  
ვიანი კაცი.

დღით სამსონი გავიდა ოთახიდან და სახლში საჭმელ-სანოვავე მოიტანა, დედა კი ამ დროს წი-  
თელ დროშაზე აქარგავდა სიტყვებს.

„გაუმარჯოს პირველ მაისს, მშრომელთა დღე-სასწაულს“.

— ყოჩაღ, ლექსო, ყოჩაღ! შაგიყვან დღეს მაი-  
სობაზე! — უთხრა მამამ ლექსოს, როცა უკანასკნელ-  
მა გამოიღვიძა.

ლექსოს სიხარულისგან უნდოდა ეკიცვა:

როცა გაშოვიდენ ისინი ჭინიდან, ქვე ვიღაც  
ცალთვალა კაცი შეამჩნიეს, რომელიც სწრაფად  
მიიმართა.

ლექსო მიღიოდა და თან მიპქონდა ქალალდში  
გამოხვეული პური. ისინი ქალაქ გარეთ გავიდენ,  
სადაც ხეები და მწვანე ბალახები ხარობდა.

ხევის გადაღმა ტყეში ერთ მინდორზე თავი  
მოეყრათ მუშებს. აქა-იქ დაესორა წითელი დროშე-  
ბი. სამსონმა გაშალა თავისი დროშა და ააფრიალა.  
მუშები საუბრობდენ, იცინოდენ, ხმაურობდენ, ზო-  
გი იმუქრებოდა და ქალაქზე ლაპარაკობდა.

— ლექსო, შენ აცოცდი აი ამ ხეზე და იქვდან  
ათვალისწინებ, ხომ არ მოღიან კაზაკები. თუ რამე შე-  
ნიშნო, გვაკისძე.

— კარგი, მამა, — უბასუხა ლექსომ და სწრა-  
ფად ოცნებდა იქვე ხეზე.

— ამხანაგებო! ჩვენი ცხოვრება მეტად მძიმეა, ჩვენ ვცხოვრობთ ნესტიან სარდაფებში, ვმუშაობთ დილიდან გათენებამდე! თავადები, მებატრონები კი დასეირნობენ ეტლებით, ავტომობილებით, დილიდან საღამომდე დროს უქმად ატარებენ. ჩვენ უნდა ვიბრძოოთ ამ უსამართლობის წინააღმდეგ, რომ შევიმსუბუროთ ცხოვრება. დღეს პირველი მაისია. ჩვენ დარაზმულად უნდა გამოვიდეთ და ვიბრძოოთ უკაფესი ცხოვრებისთვის.

— გაუმარჯოს პირველ მაისს! ვიბრძოლოთ,  
ვიბრძოლოთ! — გაისმა ხმები, როცა სამსონშა სიტყვა  
დაამთავრა.

— კმარა მონობა, გაუმარჯოს მუშათა მოძრა-  
ობას, პირველ მაისს...

\* \*

ლექსო მაღალი ხის კენჭერობზე იჯდა. იქვე რა-  
ღაც ფრინველის ბუდე იყო, რომელშიც პატარა  
კვერცხები ეწყო.

ის ხან ბუდეს ათვალიერებდა და ხან აქეთ-იქით  
იცქირებოდა. უცებ შენიშნა შორს რაღაც ნისლი,  
რომელიც თანდათან ახლოვდებოდა და ძალაუნებუ-  
რად დასტვინა.

ერთი მუშა იმ წუთშივე ხეზე ახოხდა და მაღ-  
ლიდან გადახედა ხევს, საიდანაც ეს ნისლი მოდი-  
ოდა, დააკვირდა კარგად და წამოიძახა:

— ამზანაგებო, ყაზახები! დავიშალოთ, საჩქაროდ  
დროშები დავკეცოთ, ყოველი შემთხვევისათვის მო-  
ამზადეთ იარაღიც აბა, წინ, თამამად.

ამ ტროს ყაზახები ახლოს იყვნენ. თავადი ობე-  
ლიანი მხიარულად მოუძღვებოდა მათ თეთრ ცხენზე  
გამოჭიმული და თან ესაუბრებოდა თავის ქვეშევრ-  
დომ ოფიცერს.

— ძლიერ ყოჩალი ბიჭი არ არის ეს ცალთვა-  
ლა?!

ათი წუთის შემდეგ ისინი უკვე იმ ადგილას  
იყვნენ, საღაც მუშების კრება იყო.

მუშები გარბოდენ იმ იმედით, რომ საფრთხე  
აიკილეს, მაგრამ უცებ ხევთან მათ წინ გადაელობა  
ცალთვალა კაცი, რომელიც ჯაშუში იყო, და რამ-  
დენიმე ყაზახი. ატყდა სროლა. ყაზახებმა იშიშვლეს  
ხმლები და დაერინ მუშებს. ძია რაუდენს ვიღაცმ  
ესროლა ისე, რომ ის იქვე უსულოდ დაეცა. სამ-  
სონმა იძრო ნაგანი და პირდაპირ გულში დახალა

თავადის მხლებელს. ლექსოს მამას ესროლა მკვდარი  
ვაღმა.

— დახოცეთ, მოკალით ამ წუთშივე ეს ძალ-  
ები!

სამსონი მწვანე მოლზე გაშლართული ეგდო  
მკვდარი. თავადი არ ცილდებოდა კიდევ და ცხენით  
თელავდა მას.

მრავალი მუშა გალახეს და დაასახიჩრდს, იქვე  
მრავალი შეჰკრეს და ქალაქისაკენ წაიყვნეს. ვიღა-  
ცამ ლექსოსაც გააწნა სახეში მათრახი. პატარა ბიჭი  
უგრძნობლად და გასისხლინებული ეგდო აყვავე-  
ბული ალუხის ძირში.

ყაზახები ცოტა ხნის შემდეგ დაიძრენ და თან  
წაიღეს მკვდარი ოფიცერი.


ლექსო მხოლოდ საღამოხანს მოვიდა გონს, წა-  
მოდგა ზეზე, მივიდა მკვდარ მამასაან, დაემხო გულზე  
და აცრემლებულმა დაუწყო კოცნა, მერე აიღო იქვე  
დაგდე ული ღროშა და სოქვა:

— ძვირფას მამა, ფიც გაძლევ: რომ გავიზრ-  
დები, სამაგიეროს გადაფუხდი ამ არამზადებს! მე ჩე-  
მივე ხელით მოვკლავ შენს მკვლელს...

საღამოვდებოდა. მზე ჩადიოდა, და დასავლე იი  
სისხლისფრად იღებებოდა. ტყეში წვებოდა ლურჯი  
ბინდი...

გათავდა მაისის დღე, ქალაქისაკენ მიმავალ  
გზაზე კი ალუხები ჰყვაოდა, რომლისგან თეთრი  
ფიფქები ცვილდა. ლექსო ნახევრად ცოცხალ-მკვდა-  
რი ძლიერ მიღიოდა შინისაკენ. ქალაქი შორიდან  
ათასფრად ბრჭყვინავდა.

3. მაგერი.



დანიის პიონერები ბაზარად



## როგორ ცხოვრობენ და გუშაობენ პიონერები

ახლახან ბავშთა საერთაშორისო მოძრაობის ბიურომ ჩაატარა სკონდინაციის ქვეყნებში ნაციონალური კონფერენციები. ამხანაგმა ერნსტმა, რომელმაც იმოგზაურა ამ ქვეყნებში, შემდეგნაირად აგვიწერა იქაური პიონერ-ორგანიზაციების მდგომარეობა:

„ნორვეგიის წარმომადგენლობამ ბერლინში აღბათ იგრძნო, რომ მე კომუნისტი ვიყავი და არ მომცა ნორვეგიაში შესვლის უფლება. ამის წყალობით მე მოქვედი ოსლოში (ნორვეგიის დედაქალაქია) დაგვიანებით.

დავიწყე იქაური ორგანიზაციების გაცნობა.

როგორც გამოვარკვიე, ორგანიზაციაში სუსტად სწარმოებს პოლიტიკური მომზადების საქმე, არ სწარმოებს არავითარი მუშაობა ბურჯუაზიული სკოლის და ბავშთა ექსპლოატაციის წინააღმდეგ. სამაგიეროდ ბევრ დროს ანდომებენ საუბრებს, ცეკვა-თამაშს; მიუხედია და მისა, გამოირკვა აქტიური პოლიტიკური მუშაობის ნიშნები (უპატრონო ბავშების მოთხოვნები, ბრძოლა სკოლებში საუზმებისათვის), მაგრამ, რაც მთავარია, პარტიის წევრებს კარგად აქვთ შეგნებული პიონერული ორგანიზაციის მნიშვნელობა.

ჩემთვის მეტად საინტერესო იყო პირდაპირ ორგანიზაციის გაცნობაც; ამ მიზნით ამხანაგების გაუფრთხილებლად მივედი ოსლოს ერთ-ერთ პიონერულ კრებაზე, ვთხოვე განეგრძოთ კრება ისე, რომ ჩემთვის არ მოექციათ ყურადღება. კრებას ხელმძღვანელობდენ პიონერები. პირველ ყოვლისა, წაიკითხეს წინა კრების ოქმი, შემდეგ გაარჩიეს საკითხი ბავშთა მომავალი დღესასწაულის სამზადისის შესახებ, დაარიგეს ბილეთები და სხვა, ამის შემდეგ წაიკითხეს გაზეთის უახლოესი ნომრიდან შენიშვნები და მეტე დაიწყო ცეკვა-სიმღერა. რამდენადაც შემეძლო მივმხდარვიყავი, კრება, რაც ტიპიური იყო ოსლოს პიონერული კრებებისათვის, ბავშებს ძლიერ აკმაყოფილებდა.

ნაციონალური კონფერენციის გამო, პიონერებმა მოაწყვეს ბავშთა დღესასწაული ქალაქის დიდ დარბაზში. სხდომის შემდეგ ყველა დელეგატი პიო-

ნერული ორკესტრის თანხლებით გაემართა ზეიმზე. ძნელი დასჯერებელია, მაგრამ ეს ასე იყო: სისლობური პიონერ-ორგანიზაციაში ითვლება 80 პიონერი, კესტრში კი მონაწილეობას იღებდა 150 კაცი; როგორც გამოირკვა, ორკესტრში მხოლოდ 20 პიონერი იყო, 30 ბავში—სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრები და სხვა 100—შეუკავშირებელი ბავშები. ეს ორკესტრი დახმარებას იღებს პროფესიონალებისაგან, ხელმძღვანელობას კი კომუნისტური პარტია უწევს, ის სარგებლობს პოპულარობით არა მარტივ ბავშებს შორის, არამედ დიდებშიც.

დღესასწაულში მიიღო მონაწილეობა 400 ბავშმა, მათში 200 მოზრდილმა. ზეიმის ყველაზე საინტერესო მომენტი იყო რუსული პიონერულ-ორგანიზაციების მისაღმების კითხვა და დროშის გადაცემა ჰაბებურგის პიონერებისადმი.

ზეიმის მთელი პროგრამა თითქმის მთლიანად ჩატარებულ იქნა პიონერების ძალებით. პროგრამაში შედიოდა პატარა პიესა, ორკესტრის გამოსვლა, სიმღერა და სხვა. დაახლოებით ეს გაგრძელდა სამსათს, რომლის შემდეგ დარბაზიდან გატანილ იქნა სემები და გიმართა ცეკვა... შედგენილ იქნა ორი გუნდი და როიალის აკომპანიმენტის ქვეშ ყველანი ასრულებდენ ნორვეგიულ სახალხო ცეკვას. პიონერები, კომუნისტობის და უკანასკნელიად კი მათი შშობლები—ყველანი დიდი სიამოვნებით თამაშობდენ. თამაშის შემდეგ წარმოთქმულ იქნა სიტყვა, რითაც დასრულდა ზეიმი.

ამხანაგებმა გადმომცეს, რომ ასეთი დღესასწაულები ხშირად იმართება, თურმე, რაც დიდი წარმატებით ტარდება. მე მოვისურვე სოფლის ორგანიზაციების გაცნობა. ამისათვის ჯერ გემით და შემდეგ ავტომობილით ჩავედი ერთ სოფელში, სადაც მოსახლეობა 2,5 00 აღებატებოდა. პიონერული ორგანიზაცია ერთადერთი ორგანიზაციაა ამ რაობში. მისი გავლენის ქვეშ იმყოფება მთელი მოსახლეობის ბავშობა. კრებაზე მოგროვდა ბავშების დიდი რიცხვი; საქმე ისაა, რომ უცხოელი სტუმარიც აინტერესებდათ; კრებაზე არ იყო არცერთი კომუნისტობი, რაღაც მათთვის დანიშნული იყო კრება საღამოსათვის.

დარბაზში რომ შეველი, სიჩუმე ჩამოვარდა; თავ-  
მჯდომარემ გახსნა კრება და პირველი სიტყვა მე მომ-  
ცა; კრების შემდეგ მე მომიხდა ბავშვებთან ერთად  
ცეკვა; წამოსვლის დროს, როცა ავტომობილში  
ვჯდებოდი, ბავშვები გარს შემოხვეული შემომძახო-  
დენ: „გადაეცით სალაში გერმანელ ბავშვებს“, „გადა-  
ეცით სალაში საბჭოთა კავშირის ბავშვებს“.

შვედელ აწანაგებს უკეთ მოქმედებიათ კონ-  
ფერენცია. როცა ჩავედი მათთან და ვკითხე  
რეზოლუციების შესახებ, მათ მიპასუხეს, რომ ეს  
რეზოლუციები დიდი ხანია გადაბეჭდილია და და-  
მზადებული. მე კამაყოფილი დავრჩი, მაგრამ როცა ეს  
რეზოლუციები გადავათარგმნინე და წავიკითხე, იგი  
არ აღმოჩნდა დამაქმაყოფილებელი. გამოირკვა, რომ  
ეს რეზოლუციები სამი წლის წინ შედგენილი  
ყოფილა და ის საფუძვლად უნდოდათ დაედვათ 1928  
წლისათვის. რასაკვირველია, ამის შემდეგ მუშაობა  
ხელახლა მოგვიხდა.

შვეციის ყველაზე საუკეთესო პიონერ-ორგანი-  
ზაციად ითვლება სტოკოლმის ორგანიზაცია. უკა-  
ნასკნელ დროს კოლექტივების რიცხვი საგრძნობ-  
ლიდ გაიზარდა (ორიდან ჩვენდე ავიდა, 180 წევ-  
რით). სტოკოლმში ასებობს აგრეთვე ორი სასკო-  
ლო უჯრედი.

ნაციონალური კონფერენციის ცოტა ხნის  
შემდეგ სტოკოლმში ჩატარებულ იქნა სასკოლო  
კონფერენცია, რომელზედაც წარმოდგენილი იყო  
20 სკოლა.

აუტომბერში ერთი კვირის განმავლობაში ტარ-  
დებოდა კამპანია პიონერების სიებში ჩაწერის სასარ-  
გებლობი. ამ კამპანიის დროს სტოკოლმში გაყიდულ  
იქნა 800 პიონერული გაზეთი. სტოკოლმში პარ-  
ტიულ გაზეთთან არსებობს კვირეული პიონერული  
გაზეთი, რომელსაც რედაქტორობენ თვითონ ბავშ-  
ვი. მოწესრიგებულია აგრეთვე მეთაურების მზადების  
საქმე. უკვე დაარსებულია სკოლა მეთაურებისათვის,  
სადაც იკრიბებიან კვირაობით და მეცალინობენ 5  
საათის განმავლობაში; სკოლის მსმენელების რიცხვი  
8—15 კაცი.

სტოკოლმის ერთ-ერთი ორგანიზაციის დათვალიე-  
რებამ დამარტინა, რომ აქ ცოცხალი მუშაობაა. ისი-  
ნი დამოუკიდებელნი არიან, თავად უძლვებიან კრე-  
ბებს, ამბობენ სიტყვებს, შემთაქვთ წინადადებები;  
საერთოდ, ძლიერ დაინტერესებული არიან თავისი  
ორგანიზაციით.

ერთხელ სტოკოლმის ერთ-ერთი კოლექტივის  
კრებაზე ვნახე ცოცხალი გაზეთის რეპეტიცია; რო-  
ცა გამოვკითხე მათ, თუ სიიდან იკიან ცოცხალი

გაზეთის შესახებ, მიპასუხეს: წავიკითხეთ მეს? ზო-  
რინის წერილი ცოცხალის გაზეთის შესახებ საერთა-  
შორისო უურნალში „პროლეტარული ბავში“ და  
გადაწყვიტეთ მისი განხორციელება; ის, რაც მე  
ვნახე, უსათუოდ კარგი საქმის დასაწყისი იყო. მთელ  
შვეციაში სულ მხოლოდ 45 კოლექტივია, 1500  
წევრით. ეს კი იმას ნიშავს, რომ ეს ორგანიზაცია  
სუსტია. ასე, მაგალითად, შვეციის მეორე ქალაქში,  
გეტებორში, ჩვენ გვყავს 100 პიონერი იმ დროს,  
როცა ამავე ქალაქში 200 ბისიკუტია. ქ. მალეოში  
სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია აერთიანებს  
1000 ბავშს, ჩვენ კი— მხოლოდ 50, სამაგიეროდ,  
ჩვენი ორგანიზაციები იმყოფება თითქმის ყველა ქა-  
ლაქში.

ჩვენ გვაქვს რამდენიმე კოლექტივი სოფლადაც.

ქ. ფრინეს ერთ-ერთი პიონერ-კოლექტივის მე-  
თაურმა გადმომცა საინტერესო ცნობა მათი მუშაო-  
ბის შესახებ. ამ ქალაქში ცოტაა პარტიის წევრები,  
სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია კი ძლიერია;  
მიუხედავად ამისა, პიონერ-კოლექტივი დიდი პოპუ-  
ლარობით სარგებლობს, სოციალ-დემოკრატებმა კი  
ვერ შესძლეს თავისი ბავშთა ჯგუფის შექმნას.

მიუხედავად იმისა, რომ სასჯელიც კი შემოი-  
დეს, ბავშვი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციი-  
დან გადმოდიოდენ პიონერებში. ამჟამად პიონერ-  
ორგანიზაცია დაშლას უქადის რელიგიურ ორგანი-  
ზაციას, რომელიც ერთადერთი ორგანიზაციაა ამ  
რაიონში, პიონერული ორგანიზაციის გვერდით.  
მათი 40 წევრიდან 10 უკვე გადმოვიდა პიონერულ  
ორგანიზაციაში. როცა მღვდელმა ეკლესიაში წირვის  
დროს აგინა პიონერები, იმ დღეს 5 კაცი კიდევ მო-  
ცილდა მათ ორგანიზაციის.


ნაციონალურ კონფერენციაზე მონაწილეობას  
იღებდა ვაკ დელეგატი შვეციის ყველა ოლქიდან.  
კონფერენციაზე მხურვალედ იჩქოდა საკითხები  
შვეციაში ბავშთა მოძრაობის შესახებ. კრება გაიყო  
ორ ჯგუფად; ერთი იცავდა იმ მოსაზრებას, რომ  
პიონერები რაც შეიძლება ნაკლებად უნდა იყენენ  
ჩამული პოლიტიკაში, უფრო მეტად კი ცეკვა-თა-  
მაშში და სხვა, რომ არაა საჭირო მტკიცედ ჩამოყა-  
ლიბებული კავშირი, მეორე ჯგუფი მეორე უკიდუ-  
რესობაში ვარდებოდა და თხოულობდა, რომ პიო-  
ნერ-ორგანიზაცია გადაექციათ წითელი ბოიკუუტე-  
ბის ორგანიზაციად. მაგრამ საბოლოოდ შეთანხმდენ  
ჩემს მიერ წამოუკნებულ რეზოლუციაზე.

ნაციონალური კონფერენცია შვეციაში საკ-  
მაოდ ცოცხალი და დამაქმაყოფილებლად ჩატარდა,  
რის შედეგებს მომავალში უნდა ველოდეთ.

## 306 არის ნოზილე და რისტვის გაფრინდა კოლიუსისაცნ?

უკანასკნელი ორი თვეს განმავლობაში ქურნალ-გაზეთებში ერველდღე თავსდება წარბები; ომ დირექტორი „იტალიას“, ომექლიც მიფრინავდა ჩრთილოეთის პოლიუსისაკენ, უბედურება შეემთხვა, დაიმსხვრა და სხვა.

საინტერესოა ვიკითხოთ, რისთვის მიფრინავდა გენერალი ნობილე დირექტორი ჩრდილო პოლიუსისაკენ?



ნობილე და მისი ფრენის მიმართულება.

აღმო გლობუსი, ომექლიც დაპატიარავებული სახით გვიჩატავს ჩვენს ღერძამიწას და შეხედეთ. მის უკიდურეს „სევითა“ ნაწილს. იქ თქვენ დაინახავთ ჩრთილოეთის პოლიუსს: აგრეთვე შენიშნავთ, რომ ამ პოლიუსზე ვადასვლით, ამ მუდმივი უინულების სამეფოს ვადალაშვილ შეიძლება ევროპის და ამერიკის უფრო დაახლოება, რადგანაც ის უკელასე უმოკლესი გზაა.

ამგენად, ნობილეს ექსიდიცის ერთ-ერთი ამოცანა იქთ — გამოეკვლია ასეთი მოკლე გზით ევროპასა და ამერიკას შორის გადაფრენის შესაძლებლობა.

მაგრამ ეს მიზანი მხოლოდ ერთ-ერთი იქთ. ჩრდილოეთის პოლიუსი და მთელი პოლიარქული შესარე, ომექლიც „არკტიდა“, ეწოდება, სრულიად გამოუკვლეველია და მეტად საინტერესოა მეცნიერებისათვის.

პოლიუსის მახლობლად თავს იურის ცივი ჭავრის უამრავი მარავი. შემდეგ იქიდან ცივი ჭავრი მოისწრავის უფრო სამხრეთის ქვეენებისაკენ, სადაც სცელის ამინდს და ჭავას.

ამგენად, არკტიდა წარმოდაგენს თითქას „ჭავის ფაბრიკას“ და ამ „წარმოების“ საიდუმლოებაში ჩახედვა, რასაკვირველია, მეტად საინტერესოა.

„იტალიის“ გამგზავრება ამ მიმართულებით პირველი არ არის. მის გაფრინამდე ჯერ კიდევ მეცნიერებმა გათვალისწინეს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს მოკლე გზას ევროპასა და ამერიკას შორის; ეს გზა გადადის ჩრთილოეთ პოლიუსზე; ისტორიაში ციცის მთელი რიგი ცდები არკტიდის ზღვით დაპურობისა.

პოლიალური აკეანე — მიუწვდომელი შესრება საზღვაო გემებისათვის, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ეს უზარმაზარი სივრცე,  $2\frac{1}{2}$  მილიონი კვადრატული კილომეტრი, ე.ი. მოელი ევროპის მოედნის მეოთხედი, უცნობია მეცნიერებისათვის.

ცხადია, რომ ერთადერთი მოკლე გზა ამერიკისაკენ არკტიდის მიმართულებით მდგრადობს — და ეს გზა უკელასე უმოკლესი გზაა ევროპასა და ამერიკას შორის.

თანამედროვე მოგზაურობის პირობებში ლენინგრადიდან სან-ფრანცისკოში (ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ნაწილები) ვლადივოსტოკის გზით მოგზაურობას 28 დღე სჭირდება. გზას ლენინგრადიდან ატლან-

ტიის ოქეანით ნიუ-იორკში 15 დღე უნდა, ჩრდილოეთ ბოლიუსის შერით გადაფრენით კი მხოლოდ საბო დღე სჭირდება. თავისთავად ცხადია, რომ გზის ასეთი ეკონომიკისათვის მეცნიერება იძროლებს. მეცნიერება ურველგვარი საშეალებით ცდილობს დაისუროს ჩრთილოეონის უინულის და თოვლის ქავეანა და ამ მიმართულებით დააწესოს საჭარო მიმოსვლა ექონომიკა და ამერიკას შორის.

დირიქაბლი „იტალია“ ერთ-ერთი რაზმი იყო, რომელიც მეცნიერებაში გაგზავნა ჩრდილოეთ ბოლიუსის დასაპურობად.

ორგორ მოხდა ნობილეს გამვზავრება და მისი დირიქაბლის უბედურება?

გენერალი ნობილე იტალიელი მკვლევარია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ჩრდილო ბოლიუსის გამოკვლევა. ამ ექსპერიციის შესავალში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მთელ მსოფლიოში. მიზნები ექსპერიციისა მკაფიო საიდუმლოებით იყო მოყვალი, ნობილეს აუარებელი წერილი მოსდიოდა ექსპერიციაში მონაწილეობის მისაღებად.

ბოლიუსისაკენ გაფრინდა შოლოდ 19 კუ. წ.

კანიგბეირდან ექსპერიცია გემით „ჩიტა“ დიდანო“, რომელ ცედას 270 კაცი—დამშმარებირი—იყო, შეიცვალება გავიდა.

შეიცვალება იყო ის ბაზა, საიდანაც უნდა ეწარმება ნობილეს ჩრდილოეთ ბოლიუსისა და მის ახლო მდებარე ზონის დასვერვა.

მისანი ამ ექსპერიციისა, თანახმად იმ ცნობისა, რომელიც გამოაქვეყნეს ცნობილმა მკვლევარმა ფრიტიოფ ნანსენმა და სვერდერუბმა, მდგომარეობდა არკტიკის (ჩრდილო და დამიწის) მეტეოროლოგიური პირობების შესწავლაში. სწორ მეცნიერულ დაკარგებებს უნდა მიეცათ საშეალება ამინდის წინასწარმეტეველებისა აბსოლუტური სისტორით.

მეორე დასაზვერავი გაფრენის დროს დანინის მიწისკენ ნობილემ გაიარა თავისი დირიქაბლით 1.000 კილომეტრამდე და უნდა დაშვებულიყო ლენინის მიწაზე. ეს არ

მოხერხდა, რადგან ხშირი ნისლი ხელს უშლდდა მიწაზე დაშვებას.

მესამე გაფრენა მოხდა შირდაბირ ბოლიუსისაკენ. დირიქაბლი „იტალია“, „რომელიც მთელი საათი დასტრიალებდა ჩრდილო ბოლიუსს, მმიმე დაზიანების გამო იმულებული შეიქნა დაშვებულიყო მიწაზე. დაშვების დროს მსუბუქად დაშვდა თვითონ ნობილე და მისი ორი თანამებავრი. რადგან ექსპერიციას თან ჰქონდა რადიოსადგური, მათ საშეალება მიეცათ უცნობებიათ თავისი ბედი მსოფლიოსთვის.

საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ შეიმუშავა შეკლი რიგი ზომები „იტალიის“ დასახმარებლად. ფრანციოსების მიწის რაიონში გაგზავნილ იქნა ჰიდროგრაფიული გემი „პერსეი“, შემდეგ მცურავ უინულთა მხარეში გაიგზავნა მძლავრი უინულისმრდველი „მალიგინი“ და „კასინი“.

#### ნობილე გადარჩენილია

ნობილეს ექსპერიციის მცურავი ბაზა „ჩიტა“ დი მილანო“—დან რადიო-ტელეგრაფით მიღებულია ცნობა, რომ 24 ივნისს ღამით შეკვერის აეროპლანი, რომელსაც გაგეთებული ჰქონდა სპეციალური მოწეობილობა ურნულ ცეცხლად, და ის საჭროსით დაეშვა ნობილეს ჯგუფის მასლობლად და ადგინა ნობილე ბაზაზე. აეროპლანმა ნობილე მიეცანა ს. ნლოპენის სრუტეში, საიდანაც შეკვერის მეორე ჰიდროაერობილი მიიუვანა ის „ჩიტა“ დი მილანო“—ზე, რომელიც გირგხბეიში იმულება. ამის შემდეგ შვეციის აეროპლანი ისევ დაბრუნდა ექსპერიციის სადგომთან, რომ განეკრიბ მუშაობა სწევბის გადასარჩენად, მაგრამ დაშვების დროს გადაბრუნდა. საბედნიეროდ, ავიატორი უგენებლად გადარჩა.

„ჩიტა“ დი მილანო“ აქვენებს ბიულეტენს ნობილეს ჯანმრთელობის მდგომარების შესახებ. ნობილეს მოტექილი აქვს მარჯვენა ფეხი, მლიერ აქვს დაზიანებული მარჯვენა გვერდის ნაწილი.

# ჩვენი ცეკვება და მუსაობა



## ჩვენი კოლექტივი

(ბორჯომ ბალი, გორის მაზრა)

ქ. ბორჯომის შვიდწლევდ შრომის სკოლაში არსებობს ბუხარინის სახელობის მე-39 კოლექტივი. ამ სკოლის კოლექტივის პიონერები ძალიან ჩამოქვეითებული იყვნენ, რაღაც ნშირად იცვლებოდენ ხელმძღვანელები: ამ უკანასკნელ კოლექტივში ახალი ხელმძღვანელი დანიშნეს. ამის შემდეგ კოლექტივმაც გამოიღვიძა. ახლა ჩვენს კოლექტივში 60 პიონერ-ოქტომბრელია. ისინი დაყოფილი არიან რგოლებად. პიონერების რგოლი ოთხია. ხელმძღვანელები რგოლებისა არიან კომკავშირელები. ოქტომბრელების 3 ვარსკვლავია. ვარსკვლავში 7 კაცი; მეთაურები არიან რგოლი კომკავშირელები, ისე პიონერები. რგოლის მიმაგრებული მეთაურებისგან და კომკავშირელებისგან შემდგარია საბჭო. გვაქვს ორკვირეული გაზეთი „წითელი პიონერი“, რომელიც სისტემატიურად გამოდის. უნდა ათქვას, რომ ამ სკოლის გამგე სათანადო ყურადღებას გვაქვევს.

პიონერი რეზო ჭიპაშვილი.

## როგორ ვიდრესასწაულები გავთავა საერთაშორისო კვირეული

(ჩხარი, შორაპნის მაზრა)

კვირადღეა, 27 მაისი. მზე ჯერ კიდევ ამოსული არ იყო, რომ ჩხარის ცენტრალურ კოლექტივში ფაცა-ფუცით ვემზადებოდით ჩვენი ბრწყინვალე დღის შესახვედრად, ვაკრავდით მაზრიდან გამოგზავნილ პლაკატებს კლუბშიც და ქუჩაშიც.

მზემ ამოსული თავი და გააცისკროვნა მთელი არებარე. დროშები თავისუფლად ფრიალებენ;

10 საათი იქნებოდა, რომ ხელმძღვანელმა და გვაწყო, მოგვცა სამუშაოთებიდან გაკეთებული პატარა დროშები, აგვაკრა პლაკატები და გავეშურეთ ქუჩაში დემონსტრაციის მოსახლენად. დემონსტრაციის დროს ვამბობდით ლოზუნებს. ქუჩებში ვიმღეროდით სხვადასხვა რევოლუციონურ სიმღერებს; აგრძელევ ჩავატარეთ თამაშობა. შემდეგ გავეშურეთ კოლექტივისაკენ და როდესაც მივედით, კმაყოფილი დავიშალეთ.

პიონერი ალიოშა სიმონგულოვი.

## მეზაობა გავაძლიეროთ

ქ. ოზურგეთში 7-წლედთან დიდი ხანია არსებობს პიონერთა კოლექტივი.

კოლექტივი კარგ მუშაობას აწარმოება. კავშირი გვაქვს ოზურგეთის საბავშო ბალთან და გვყავს პირველი რგოლი. საბავშო ბალის ბავშებს ვეხმარებით დღესასწაულების ჩატარებაში, ექსკურსიების მოწყობაში და ბოსტნის დამუშავებაში.

ვუშვებთ ორკვირეულ კედლის გაზეთს „ლენინის გზით“. კავშირი გვაქვს წითელარმიელებთან, ხშირად ექსკურსიით მივდივართ მათთან. მათი დახმარებით მოზრდილ პიონერებში მიმდინარეობს ჟედრო მეცადინეობა. წითელი არმიის 10 წ. თავის დღესასწაულის ჩატარების დროს ჩვენი კოლექტივის პიონერებმა მათ მიუძღვნეს გაზეთის სპეციალური ნომერი, რვეულები, ფანქრები და სხვ.

მონაწილეობას ვიღებთ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც: შევლობეთ საბავშო ბალის ბოსტნი, მონაწილეობა მივიღეთ კომკავშირთან შაბათობის მოწყობაში.

ბერლინის პიონერების დასახმარებლად მოვაგროვეთ 42 მან., კოლექტიურად შევიძინეთ 10 მან. საგლეხო თბლივაცია, ვაწყობთ უფასო წარმოდგენებს და ვიწვევთ შეუკავშირებელ ბავშებს და მშობლებს, აქტიურ მონაწილეობას ვაღებთ დღესასწაულების ჩატარებაში და სხვა.

ჩვენი კოლექტივი თავისი გეგმიანი მუშაობით მომავლისათვის კადეც უფრო ბევრის გაკეთებას შეძლებს. პიკინი თამარ ზურაბაშვილი.

## ვაძლიერებოთ მეზაობას

(ზანავი, ბორჯომის რაიონი).

სოფელ ზანავის კოლექტივი სამაგალითოდ ითვლება ბორჯომის რაიონში. პიონერთა რიცხვი საკმაოა, მისი მუშაობა გაუმჯობესებულია და განვითარების და წინსვლის გზას ადგია.

გამოდის კედლის გაზეთი, სადაც თვითონ პიონერები იღებენ მონაწილეობას.

გვაქვს კავშირი სხვადასხვა სოფელის პიონერებთან, რითაც ვევბულობთ ერთმანეთის ყოფა-ცხოვრებას. განო ნათელაშვილი.

# ჩვენი გაზოგმლი ირები

## ს პ ა რ ს ე თ ი

სპარსეთს ირანის შეუ და დასავლეთი ნაწილი უჭირავს. ამ სახელმწიფოს ტერიტორია უდრის 1 მილიონს და 600 ათას კვადრ. კილომეტრს (იხ. რუკა).

მოსახლეობის რაოდენობა 12 მილიონამდე აღწევს. ტერიტორიას იმდენად დიდი სივრცე უჭირავს, რომ 1 კვად. კილომეტრზე ექვსი კაცი მოდის, მცხოვრებთა ექვსი მილიონი მიწათმოქმედებას მისდევს, 3 მილიონი კი ქალაქებში ცხოვრობს; ესენია მემატულები, სასულიერო წოდება, ინტელიგენცია, ვაჭრები, მცირეოდენ ნაწილს მუშები და ხელოსნები შეადგენენ. 3 მილიონი მცხოვრები ქოჩობა — მეჯოგეობას მისდევს.

მოსახლეობის მთავარ საქმიანობას მიწათმოქმედება შეადგენს. სთესვენ უმთავრესად პურს, ბრინჯას და ქერს.

სპარსეთში ძალზე განვითარებულია მებაღეობა; ბალები სავსეა ვენახებით, ატმით, ჭერამით; სამხრეთ სპარსეთში აუარებელი ლიმონი და ფორთოხალია. სპარსეთში მოპყავთ ბამბა, ჩაი, შაქრის ლერწამი და სხვა.

## ა ვ ლ ა ნ ი ს ტ ა ნ ი

ავლანისტანს ირანის აღმოსავლეთი ნაწილი უჭირავს (იხ. რუკაზე). მისი ტერიტორია 700 ათასს კვადრატ. კილომეტრს უდრის. ეს ქვეყანა მთაგორიანია. ავლანისტანის მთები ჰინდიუმის განგრძობას წარმოადგენს. მცხოვრებთა რაოდენობა აქ 6 მილიონამდე აღწევს; 1 კვად. კილომეტრზე 9 კაცამდე მოდის.

ავლანისტანის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი გამოუსადეგარია მიწათმოქმედებისათვის. ხეობებში და დაბლობებში მიწა უფრო ნაყოფიერია, ხელოვნური მორწყევის შეოხებით ის კარგ მოსავალს იძლევა. ავლანისტანში სთესვენ: პურს, შერიას, სიმინდას, ბრინჯას და ცურცვოვან მცენარეებს. განვითარებულია აგრეთვე მებაღეობა; ბალები სავსეა ატმით, ვაშლით; ბევრია ვენახიც.

ავლანისტანში უმთავრესად მისდევენ მეჯოგეობას, განსაკუთრებით კი ცხვრების მოშენებას.

აქაურ სამთამაღნო სიმდიდრეს შეადგენს: რკინის, სპილენძის, ტყვიის, ოქროს მაღნები და ძვირფასი ქვები, მაგრამ მათი დამუშავება ძალზე მოისუსტება.

აქ დიდი მნიშვნელობა ეძლევა მეჯოგეობასა და მებრეშუმეობასაც,

სპარსეთი დაჯილდოვებულია ბუნებრივი სიმდიდრითაც. მნიშვნელობით პირველი ადგილი ნავთს უჭირავს, არის აგრეთვე ქვანახშირის, სპილენძის, ოქროს და სხვა მაღნები.


ნავთი ინგლისელების ხელშია, სხვა მაღნების დამუშავება კი სუსტად სწარმოებს.

მრეწველობაში უმთავრესი ადგილი შინამრეწველობას უჭირავს. სპარსელები ქსოვენ ხალიჩებს, აბრეშუმის და მატყლის ქსოვილებს; ამზადებენ ტყავისა და ლითონის ნაწარმოებასც.

საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა ჯერ ძალზე მოისუსტებს.

მიმოსულა ვიწრო ბილიკებითა და საქარავნო გზებით სწარმოებს. რკინის გზათა ქსელის სიგრძე მხოლოდ 563 კილომეტრს უდრის. სპარსეთში საზღვაო საგაფრო ფლოტიც ღარიბია.

წარსულ წელს სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო ვაჭრობის და მევიზურული ურთიერთობის ხელშეკრულება.



საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა არაა განვითარებული. უმთავრესად მისდევენ შინამრეწველობას და ქსოვენ ხალიჩებს, მატყლისა და აბრეშუმის ქსოვილებს. ავლანისტანში არა რკინის გზები და არც სანაოსნო მდინარეები. მიმოსვლისათვის გამოყენებულია მხოლოდ საქარავნო გზები.

ვაჭრობის ავლანისტანი ინგლისთან აწარმოებს. ამ ბოლო დროს ვაჭრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთანაც დაიჭირა.

ავლანისტანში ფერდალური წყობილება დღემდეა დაცული, ამ წყობილებას კი ნატურალური მეურნეობა ახსიათებს.

სახელმწიფო მართვა-გამგებით ავლანისტანი წარმოადგენს აბსოლუტურ მონარქიას. ემირის (მეფე) მემკვიდრეობითი ძალა-უფლება არა შეზღუდული. ემირთან არსებული სახელმწიფო სააკო მხოლოდ სათაბირო ხმის უფლებით სარგებლობს. ამჟამად ავლანისტანს დაეტყო ერთგვარ წინმსვლელობის გზაზე დადგომა, ყურადღებით ექცევიან სახალხო განათლების საქმეს, ამისათვის დაარსებულია რამდენიმე საშუალო სკოლა, აქვთ სავალდებულო სწავლა-განათლების შემოღების სურვილი. ავლანისტანის შეიარაღებული ძალა მუდმივი ჯარისაგან შესდგება. მისი რიცხვი 100.000

კაცამდე აღწევს. მათ რიცხვში 18.000 ცხრილისათვის შეუ აზიაში ივლანისტანი ჩვენი კეთილი მეზობელია, ის საზღვრავს უზბეკისტანისა და თურქეთისტანის სოც. საბჭოთა რესპუბლიკებს. ავლანისტანის ქვეყანაა, რომელმაც პირველად გამოგზავნა თავისი დესპანი საბჭოთა რუსეთში. ავლანისტანი 1914 წელს სასტიკ ომს აწარმოებდა თავისი დამოუკიდებლობისათვის და ინგლისის იმპერიალიზმის საწინააღმდეგოდ იბრძოდა. საბჭოთა კავშირის მშრომელები ავლანისტანის ხალხის მხარეზე არიან; იმ ბრძოლას, რომელსაც ისინი აწარმოებენ დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა ქვეყნის მშრომელები სასართლიანად ოვლინ და ამიტომ ავლანისტანის მშრომელებს გამარჯვებას უსურვებენ. ავლანისტანი ცდილობს მტკიცე კავშირი დაიჭიროს საბჭოთა კავშირთან. ახლახან ჩვენს ქვეყანას ესტუმრა მათი ემირი ამანულა—ხანი.

ა. გორგაძე.

## ისტავლეთ ცურვა

ცურვისათვის საჭიროა წინასწარი მომზადება, პიონერი თავს უნდა გრძნობდეს წეალში ისე, როგორც თევზი, მას უნდა უეგარდეს წეალი, რადგან ის მას აჯანმრთელებს და ამაგრებს. პიონერმა კარგად უნდა ცყოდეს ცურვა, ცურვის უეგა ხერხი, რომ არ უცემოს ნაპირიდან ადამიანის დახრხობის შემთხვევას, არამედ დაქმაროს მას და კადარინოს. პიონერს უნდა ახსოვდეს, რომ კომკავშირი — ჩვენი ფლოტის შეფა, რომ მრავალი კომკავშირელი მიდის ზღვაზე სამსახურში, რომ ზღვა მათი სტიქიაა.

ცურვა, რომელიც დიდ აუცილებლობას წარმოადგენს ზაფულში, წინასწარ მომზადებას თხოულობას. როგორ ხდება მერე ეს? ჩვეულებრივ, უეგა იმ ხერხს, რომელიც საჭიროა წეალში ცურვისათვის, ხმელეთზე სწავლობენ, რაც, რასაკვირველია, იმასაც არ ნიშავს, რომ, თუკი შეისწავლი ასეთი „მომრალი“ ცურვის ხერხებს, წეალში პირდაპირ შესძლებ ცურვას; ეს დამხმარე საშუალება მხოლოდ ტანგარჯიშობის დროს შეიძლებაა უკელამ ერთად შეასრულოთ შემდეგი მომრალანი: გამოსავალი მდგომარეობა — ხელებამართული უნდა დადგე სწორედ. ხელის გულები ერთმანეთს მიაწეო, თავი ცოტა უკან გადახარო.

პირველი მომრალი — ჩამოუშვით ხელუბი მხრების სისტორებდე, ხელისგულის გადმოუბრუნებლად, ისუნთქეთ ბახვერად. მეორე მომრალი — მოხარეთ მკლავები ისე, რომ იდაევებდ წელამდე სწვდებოდეს ისუნთქეთ ხელა, ამასთან ერთად ცალი ფეხი (წეალში კი ორივე) მოხარე მუხლში, ფეხის გული დახრილი უნდა იქნეს.

მესამე მომრალი — დადექით ისევ გაძმასავლელ მდგომარეობაში. ამოისუნთქეთ. ამასთან ერთად აამომრავებთ ცალ ფეხს, რომლითაც გააკეთებთ ფართე წრეს და ისე ძველ მდგომარეობაში დარჩებით. შემდეგი მდგომარეობა — ისეთივე, როგორც „გამოსასვლელი“, ცოტა ხანს ზაუზა, რომ ისევ მომრალი განაგრძოთ; ფეხი იცვლება. ხელების და ფეხის მომრალის შესწავლა შეიძლება ცალცალები, მოელი მოქმედებები. კი ავტომატიური უნდა იქნეს. ცურვის ასეთ ხერხს „ბაქაურენს“ უწოდებენ. ის კარგია იმით, რომ საშეალებას იძლევა იცურო დიდხანს; აյ ხელებისა და ფეხების მუშაობა თანაბარია, სუნთქვა მომრალისათვანა შეთანხმებული. ეს ცურვა სასარგებლოა არათუ მარტო წეალში, არამედ უბრალო ვარჯიშობაშიაც, რადგან ანგითარებს ადამიანში სწორ და ღრმა სუნთქვას ასტორებს ხერხემალს და აფართოებს მკერდს

## გავაუმჯობესოთ მესაქონლეობა.

იყო დრო, როდესაც აღამიანი გამოქაბულში ცხოვრობდა და ნაღირობით იჩენდა თავს. მაშინ შინაური ცხოველები არ იყვნენ. გავიდა ხანი, აღამიანშა შესძლო გარეული ცხოველების მოშინაურება და მწყემსობას მიჰყო ხელი, დაჲყებოდა თავის ჯოგი და, როცა დასკირდებოდა, ჰქონდა ხორცი, ქონიც და სხვა. ამრიგად, აღამიანის მდგომარეობა გაუმჯობესდა. საძოვარი ადგილები ძალიან ბევრი იყო, მოსახლეობა — კოტა.

მაგრამ გავიდა კიდევ ხანი. ხალხის რიცხვმა ძალიან იმატა, საძოვარი ადგილები თანდათან უფრო-და უფრო ცოტა იყო და უკეთ იმაზე დასკირდა აღამიანს ფიქრი, რომ ცხოველებმა რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანონ პატრონს.

ახლა ზოგი ძროხა 300-500 ვედრო რეგი იძლევა წლიურად, ზოგი კი 50-60 ვედროს, კვება და მოვლა კი ორივეს სჭირდება. მართალია, ბევრი რძის მომცემი ჯიშიანი ძროხა უკეთეს მოვლას და კვებას საჭიროებს, მაგრამ რძის იმ ფასს, რომელსაც ის იძლევა, რომ გამოვაკლოთ მოვლისა და კვების ღირებულება, დავინახავთ, რომ ის მეტად სსარგებლოა, უჯიშო ძროხა კი შრომის ფასსაც ვერ ანაზღაურებს.

ამიტომ საჭიროა, რომ თითოეული მეურნე ან-გარიშმბდეს, რა უჯდება მას ესა თუ ის საქონელი და რას იძლევა იგი.

დიდი მნიშვნელობა აქვს წესიერ კვებასაც. ჩვენში უდიდესმა ნაწილმა არ იყის საქონლის წესიერი კვება, რის ვამოც ბევრსაც ვზარალობთ. საქონელს საჭმელი სჭირდება უბირველს ყოვლისა იმისთვის, რომ იარსებოს; საჭმელი სათბობი მასალაა, საქონელი — ფაბრიკა. საქონელი ძალიან ბევრ სითბოს ჰკარგავს, განსაკუთრებით კი ზამთარში. გამოანგარიშებულია, რომ ძროხას ზამთარში დღედაღამეში ბევრი სითბო ეკარგება: ამ სითბოს, ერთად რომ თავი მოვუყაროთ, შეუძლია ააღულოს საკმაოდ ბევრი წყალი, სახელდობრ: ვთქვათ, ძროხა ჩაწვა წყალში და ამ წყალმა ის სულ დაფარა. აი, ამდენ წყალს ააღულებს დღედაღამის განმავლობაში ძროხის მიერ დაკარგული სითბო. ამიტომაა საჭირო, რომ ბოსელი რაც შეიძლება თბილი და მზიანი იყოს. გარდა იმ საკვებისა, რომელიც საქონლის სხეულს სჭირდება, ჩვენ უნდა ვაძლევდეთ მას სხვადასხვა სისარგებლო საჭმელს. მაშინ ძროხა რეგი მოგვუქმის, ღორს ხორცი შეემატება და სხვ.

როგორც ის არ ვარგა, რომ შინაურ ცხოველებს უფრო ცოტა საჭმელი ეძლეოდესთ, ვიდრე მათ სჭირდებათ, ისე არ ვარგა ზედმეტად კვებაც: ცხოველი ძალიან გასუქდება, მუშაობის უნარს და კარგავს, შეიძლება ავადაც გახდეს.

საკვები ნივთიერება სხვადასხვაგვარია. ზოგი მათგანი რეგი შემატებს (ძროხას), ზოგი — შრომის უნარს (ხარს, ცხენს) ზოგი ხელს უწყობს ზრდას (რეგ). ამასც ანგარიში უნდა გაეწიოს.

ჩვენში ზამთრობით საქონელს უმთავრესად ჩაღას აჭმევენ; საჭიროა ეს ჩაღა დაიჭრას ნაჯახით

წვრილ-წვრილად; შემდეგ უნდა მოაყაროთ მარილი და ისე აჭამოთ საქონელს.

აღამიანმა თანდათან გააუმჯობესა სხვადასხვა ცხოველების ჯიში. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენში, საქართველოში, ძალიან ბევრ შრომას ხარჯავს ხალხი უჯიშო საქონლის მოვლა-მოშენებაზე და სარგებლობას კი ვერ ხედავს. ამიტომ ყოველი ჩვენგანის ვალია შეებრძოლოს ამ მოვლენას, აუქსნას მშობლებს, ნაცნობებს, მეზობლებს, რომ მხოლოდ ჯიშიანი საქონლის ყოლაა სასარგებლო.

კარგი ხბო, კარგი გოჭი ან თიკანი მხოლოდ მაშინ გვეყოლება ჩვენ, თუ მათი დედ-მამაც კარგი იყო. უჯიშო დედ-მამა თავის ცუდ თვისებებს გადასცემს შვილებს, ჯიშიანი კი კარგ თვისებებს. ტყვილა კი არ არის ნათქვამი: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“. ეს საქონელზეც ითქმის.

საოცარია, სწორედ! ხშირად მეურნემ არც კი იცის, მის ძროხას რომ ხბო ეყოლა, რა ჯიშის იყო მისი მამა. ხშირად გლახა მშობლების ხბოებს სანაშენოდ ვტოვებთ, კარგი მშობლებისას კი ვყიდით.

აი, როგორ უნდა მოვლა პატარა ხბოებს: 1. საკვები საქმაო მიეცით. 2. ხშირად აჭამეთ. 3. არა-სოდეს არ აჭამოთ თუნდაც ცოტაოდნად წამხდარი საკვები. 4. კვების ღრის უდიდესი ყურადღება მიაჭირეთ სისუფთავეს. საჭმელი განსაკუთრებულ ყუთებში ჩაუდეთ ხბოებს. რაც მორჩება ჭამის შემდეგ, არასოდეს ამ ყუთებში არ ჩასტოვოთ. 5. როდესაც შეუცვლით საჭმელს, ეს თანდათანბით უნდა ჰქნათ. ერთბაშად ერთი სახის საჭმლის მეორე სახის საჭმლით შეცვლა არ ვარგა. 6. როდესაც ხბოები დამწყვდებული გყავთ, ბოსელში ხბოს უნდა შეეძლოს მოძრაობა; რაც შეიძლება ხშირად გამოიყანეთ ვარეთ, სუფთა ჰაერზე. 7. ბოსელებიდან ყოველდღე გამოიტანეთ ნეხვი, რომელიც ჰაერს აფუჭებს. 8. ბოსელი უნდა იყოს დიდი, მშრალი, თბილი, სინათლიანი, მზე თავისუფლად უნდა შედიოდეს შიგ (ფანჯარა აღმოსავლეთისკენ ან სამხრეთისკენ დაუტოვეთ); რაც შეიძლება ხშირად გააღეთ ხოლმე უანჯარა და კარი ჰაერის გასასუფთავებლად. 9. ხბოს კანი სუფთა უნდა ექნეს. ამიტომ გაწმინდეთ ხოლმე ჯაგრით, დაბანეთ სუფთა წყლით. ზაფხულზე შეეძლიათ მდინარეში აბანოთ, მხოლოდ იმ ღრის, როდესაც წყალი ცივი არ არის. 10. ხბოზე უნდა იზრუნოთ არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას მოიგებს ძროხა, არამედ მაშინაც, როცა ის ჯერ კიდევ არ დაბადებულა. ამიტომ მაკე ძროხას კარგად უნდა მოუაროთ, საკვები არ უნდა დააკლოთ. წყალი სუფთა უნდა ასვათ.

რეგ, ან სხვა საჭმელი, რომელსაც აძლევთ ხბოს, ძალიან სუფთა ჭურჭელში უნდა იყოს. რეგ უეპველად დაუმეტავებელი, სუფთა და თბილი უნდა ასვათ ხბოს. თუ რეგ ლენავ მაინც ამჟავებული იქნა, ხბო ავად გახდება, კუჭი აეშლება.

რომ დაიცვათ ხბო ნაწლავების ავადმყოფობისაგან, პირველი ორი-სამი კვირის განმავლობაში მას პირზე წამოცმული უნდა ჰქონდეს პირის ასაკრავი

მოწყობილობა, რომელსაც ან ტირიფის წერელისაგან დაწნავთ, ან მავთულისაგან. პირის ასაკრავი მუდამ უნდა ეცვას 2-3 კვირის განმავლობაში, მოხსნით მხოლოდ კვების დროს. საინტერესოა ვიცოდეთ, რა საჭიროა ეს?

1. თუ დაკავირვებიხართ, შემჩნევლით, რომ პატარა ხბო ყველაფერს პირს ჰყიდებს, ღეჭვს, სჭამს იმას, რაც საწოლიად დაუგეხს, ეს კი აღიზიანებს საჭმლის მომნელებელ ორგანოებს და მძიმე ვადმყოფობას იწვევს.

2. როდესაც; ხბო ვედროდან დალექს რძეს, ის ტლაკავს ბაგას, საჭმლის ყუთს და სხვა საგნებს, რასაც შეიძლება კუჭის აშლა მოჰყვეს, ვინაიდან ეს საგნები ხშირად არ არის საკმაოდ სუფთა.

3. განსაკუთრებით საჭიროა ხბოებისთვის პირის აკვრა, როდესაც ისინი ოთახში ჰყავთ, ვინაიდან ხბო ღეჭავს ჭუჭყიან ჩვრებს, სველ ცოტებს, პირს ჰყოფს ვედროში, რომელშიაც ჭუჭყიანი წყალი ასხა.

საჭმელი ხბოს განსაზღვრულ საათებში უნდა ეძლეოდეს. ყოველთვის, როდესაც რძეს ასმევთ, შემდეგ ხბოს პირი უნდა მოსწმინდოთ სუფთა ჩვრით, თორებ შეიძლება ე. წ. სირსვილი გაუჩნდეს ტუჩებზე. ერთი თვის განმავლობაში ხბოს მხოლოდ წყალ-შერეულ რძეს ასმევენ, შემდეგ კი სხვა საჭმელსაც აძლევენ, მაგალითად, ქატოს. წლის რომ გახდება, თვისი მიცემაც შეიძლება. საჭმელი უეჭველად წონით უნდა ეძლეოდეს ხბოებს.

ჩვენ გლეხს რომ უამბოთ დაწვრილებით, თუ როგორი ზრუნვა სკირდება ძროხასა და ხბოს, საჭმლის მიცემა წონით, ერთსაღიმავე დროს, ბანვა, მზიანი ბოსელი და სხვა, — ის სიცილით მოკვდება.

ცხადია, გლეხი სცდება, მაგრამ ის ვერ ატყობს ამას.

ვთქვათ, ჩვენ გვყავს ორი ერთნაირი ძროხა, კარგი ჯიშის. თითოეულ მათგანს შეუძლია წლიურად 2400 კილოგრამი რძის მოცემა. ერთ ძროხას „მოგება“ დავარქვათ, მეორეს — „ზარალი“. „მოგებას“ მოვუაროთ ისე, როგორც წესი და რიგია, თავის ღრმაზე ვაძლით ყველაფერი, საჭმელი არ დავაკლოთ, „წაგებას“ ვაჭამოთ შედარებით ცოტა, მოვუაროთ უფრო ცუდად. „მოგება“ მოგვცემს 2400 კილოგრამს რძეს, „წაგება“ კი — 1200 კგ. გამოვიანგარიშოთ, რა დაჯდა პირველი და მეორე ძროხის კვება ცალკეულები. „მოგებამ“ შეჭამა 108 კ. საჭმელი, „წაგებამ“ — 84 მანეთი, ე. ი. 24 მანეთის ეკონომია გავაკეთეთ საჭმელზე, მაგრამ ახლა შემოსავალიც რომ ენახოთ, დავინახოვთ, რომ „მოგებამ“ მოგვცა წმინდა შემოსავალი 132 მანეთი, „წაგებამ“ — 26 მანეთი. (ეს ციფრები სინამდვილიდან არის აღებული).

საქართველოში გერმანელებს ჰყავთ კარგი ჯიშის ძროხები, კარგად უცლიან და ეს ძროხები სარგებლობასაც დიდი აძლევენ პატრონებს, ჩვენს სოფლებში კი ძროხები 4-6 ბოთლის რძეს ძლივს იწველიან და მათი შენახვა მართლაც რომ არ იზრის. მოუცლელად კარგი ჯიშიც ვერ უცველის საქმეს, მაგალითად, უჯიშო ძროხა, რაგინდ კარგად მოუა-

რო, ჯიშინის აღგიღს ვერ დაიჭირს, მაგრამ რისი მოცემაც შეუძლია, იმას კი მოგვცემს, ახლა კი, უძეტეს შემთხვევაში, მოუცლელობის გამო, ერთორად ნაკლებს იძლევა, ვიდრე შეუძლია.

აბა დაკავირდით: განა ჩვენს სოფლებში იქცევნ ყურადღებას იმას, რომ საქონელს მარილი სკირდება? ისე გავა დღეები და კვირეები, რომ მარილს არ მისცემენ. ის მაიც არ გაგიგონიათ, რომ ჯივები, გარეული თხები მიაგნებენ ხლომე მარილიან წყალს ან მიწას და იქ დადინა, სვამენ მარილიან წყალს, ტლაკავენ მარილიან მიწას? რათ იქცევიან ასე? იმიტომ, რომ მარილი სკირდეთ და უმარილოდ სჭმელ საჭმელი რამდენიმე დღეს! როგორც ადამიანს, ისე ცხოველს სც სკირდებათ შეაძლი. ამერიკაში ასეთი ცდა გააკეთეს: აიყვანეს 20 ერთნაირი სიღილისა და ღრანის ხბო. 10 ხბოს აძლევდენ მარილიან საჭმელს, მეორე ათ ხბოს იმგვარსავე საჭმელს, სწორედ იმდენსვე, მაგრამ უმარილოს. ერთი წლის შემდეგ პირველი 10 ხბო გაცილებით უფრო დიდი, მკვირცხლი და ჯანმრთელი იყო, ვიდრე ის ხბოები, რომლებსაც უმარილო საჭმელი ჰქონდათ. ჩვენში კი ხანტახან თუ უყიდიან; ისიც მხოლოდ ძროხას, ქვამარილს და მისცემენ რამდენიმე წამით ასატლაკავად. ასეთი უყურადღებობა საქონლისადმი დიდი დანაშაულია და პიონერებისა და ყველა ბავშის მოვალეობაა უცხსნან ეს მოსახლეობას.

უმჯობესია, რომ ძროხას ხბო შემოდგომაზე ეყოლოს: შემოდგომის ხბო ყოველთვის უფრო ღრანიერია. ახალდაბადებულ ხბოს რძე საჭმოდ უნდა დაუტოვოთ. ამერიკაში რძეს სეპარატორში ასხავენ და ხელს ატრიალებენ. ერთ მხარეს გამოიდის სეჭლი რძე, მეორე მხარეს — მოლურჯო რძე. ამ მოლურჯო რძეს სულ ხბოებს აძლევენ. ამერიკაში ახლა ჰყავთ ისეთი ძროხები, რომლებიც წელიწადში 1225 ვედრო რძეს იძლევიან, ე. ი. ღრეში 53 $\frac{1}{2}$  ბორჯომის ბოთლი რძეს. რასაკვირველია, მას კვებაც კარგი უნდა, მაგრამ წარმოვიდგენიათ, რა სარგებლობას იძლევა. იგი! ადამიანს ახლა ისეთი საქონელიც ჰყავს, რომელიც ძალიან ბევრ ხორცს იძლევა. მაგ. სახორცე საქონელი 2 წლის უკვე იწონის 800 კილოგრამს (48 $\frac{1}{2}$  ფუთი) არის ისეთი გოჭები, რომლებიც მეცენებ თვეზე იწონიან 80 კილოგრამს (თითქმის 5 ფუთს). ინგლისური ყოჩი, ლინკოლნის ჯიშის, 144 კილოგრამს იწონის (9 ფუთს), ჩვენი უჯიშო ცხვრები კი პატარებია. ციგას ჯიშის ცხვარი 5 წელიწადში იძლევა 67 მანეთს (ომაძე არსებული ყიდვითი უნარის), გრძელკუდა რუსული ცხვარი კი 14 მან. და 40 კა. წარმოვიდგენიათ, რამდენი უნდა იზაროლოს მეჯობენ ამ უჯიშო ცხვრების გამო?

ავილოთ თუნდაც ქათმები. ჩვენი ქათმები პატარებია, მათი კვერცხი ცოტას იწონის და საზღვარგარეთის ბაზარზე ამიტომ ძვირია არ იყიდება. თანაც ჩვენი დედლები ცოტა კვერცხს სდებენ.

ახლა აჯამეთის სადგური იძლევა ჯიშიან წიწოლებს. საბჭოთა ხელისუფლება ზრუნავს ცხოველებას და ფრინველების ჯიშის გაუმჯობესებაზე და საჭიროა ყველამ ხელი შევუწყოთ ამ დიდ საქმეს.

ზაფხულში პიონერებს ძევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ამ მხრივ, ისინი მოედებიან სოფლებს და უნდა აუხსნან მტბორებლებს ჯიშიანი საქნისა და ფრინველის მნიშვნელობა, დაანახვონ, რამდენად საზარალოა ჩვენი უჯიშო ძროხა, ცხვარი, ღორი, ჭარი; პიონერები უნდა გაეცნონ სათანადო ლიტერატურას და რჩევა-დარიგებანი მისცენ მოსახლეობას. მათ უნდა დაათვალიერონ ბოსლები, საქომები, საღორები, აღნიშნონ, რა ნაკლასაც შეამჩნევნ და მიიღონ სათანადო ზომები. პიონერებმა

უნდა დარაზმონ სოფლის ბავშები, ებასონ მათ მესაქონლეობისა და მეფრინცვლეობის შესახებ და მათი მეოხებით შეიტანონ სოფლიად ახალი კულტურა, პროპაგანდა გასწიონ გაუმჯობესებული ჯიშის ცხოვლებისა და ფრინველების მოშენების სასარგებლობა. შეიძლება კოლექტივმა შესძლოს და საერთო ძალით შეიძინოს სოფლისთვის ჯიშიანი დედალმამლი, ორი გოჭი (ნეზვი და ტახი), რომელსაც სოფლის ბავშების ორგანიზაციის მისცემენ.

საერთო ძალ-ლონით ძალიან ბევრი რამის გაკეთება..

## გ ა მ თ ი ც ა ნ?

მიწას ვჭრი და მივალ,  
მაქვს თხის ბორბალი.  
ბელტებს მწყობრად ვაწყობ,  
უკან მრჩება კვალი.  
მაქვს მე რკინის საჭე,  
მიწის მცრელი ფარი.  
აბა, დაუფიქრდი,  
ნეტავი რა არი?

დიდორბლიან მანქანებში  
ვართ ნატყები, დაზელილი,  
და ბოლოს კი გამოვდივართ  
ლამაზი და დაკვეცილი.  
აღრიანად ყველა გველის—  
გაიგებენ ახალ ამბავს,  
და როდესაც მოვდეველდებით,—  
გაგვატანენ კუჭყს და ნაგავს.

დ. მარიჯანიძე.

ამ სურათზე ცხრა სახლია დახატული. აბა თქვენც დახატეთ ასეთი პატარა ცხრა სახლი და შეუდევებით საქმეს. ამ ცხრა სახლში ერთ-ერთი სახლი შევია—ეს არის სასალო. დანარჩენ რვა სახლში ცხოვრობს თითო სახლში პიონერთა თი-



## თ ე გ ა უ მ გ ბ.

ინიშნება პუნქტები წრის გარშემო; თვითეულ პუნქტსა და პუნქტს შორის დატოვებულა საში ან ორი ნაბიჯი. თვითეულ პუნქტს ჰქვიან რომელიმე ქალაქის სახელი. პიონერები შემომწკრივდებიან ამ პუნქტებზე და თვითეული პიონერი ატარებს თავისი პუნქტს სახელს, ე. ი. რომელიმე ქალაქის სახელს. მან უნდა იკოდეს, იმის ქალაქში რა მდინარეები ჩამოდის. წრის შეაში დგას ხელმძღვანელი, უჭირავს ბურთი და როცა ბურთს ვაღუვდებს რომელიმე ქალაქს (პიონერს), ამ უკანასკნელმა უნდა წამოიძახოს იმ ქალაქის მდინარის სახელი, რომლის სახელიც მას ჰქვიან (ძაგ. ტფილისი, —მცეცარი, ქუთაისი, —რომნი, ლენინგრადი, —ნევა და სხვ.).

თუ ვინიც უცბად ვერ წამოიძახა, მაშინ ჯარიმდება, ან ერთმევა ფინტი, როგორც ვადას-წევეტს პიონერების ხელმძღვანელი.

ამ თამაშს დიდი სარგებლობა მოაქვს ბავშებისათვის; ისინი შეისწივლინ სხვადასხვა ქალაქის და მდინარეების სახელებს.

თო რგოლი. პიონერებმა თავის კრებაზე დაადგინეს, ყველა სახლში გაიყვანონ წყალი, ამისათვის იყო მიღებული ფული ერთის პირობით: რომ მხოლოდ სამგან უნდა ყოფილიყო მილი მოლუსული. მილი იწყებოდა სასაღილოდან და ბოლო ერთ-ერთ კუთხის სახლში თვალდებოდა.

როგორ უნდა შესრულონ პიონერებმა ეს დავალება?

გამოჩის

1928 წ.

გამოჩის

თრივი სამართლო და ურათებული  
— ცურნაბი —

მოსაზღვრობის

ვაკიფი 111

# პიონერი

შურალი ს. ს. ს. რ. მველა დოლისათვის სამალდებულოა.

დენინის სახელობის საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების ერველი წევ-  
რის, ორგანიზაციის ერველი კოლექტივის, ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის  
თათოველი ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების გადატყვევებულე-  
ბაბ ვამოიწერონ

## — პიონერი —

მიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ქურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში—5 მან.

ექვს თვეს—3 მან.

სამ თვეს—1 მან. 50 კაპ.

დალა ნომი—25 ჰაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი (მეორე  
სართული). „პიონერი“-ს და „რეზონარელი“-ს რედაქცია.

რაღავთოლი—სარედაქციო კოლეგია.